

С. И. Шубинъ  
МОСКВА

# ქართული მწერლობა

მეთოდმეტე საუკუნეში.



34395

ზ. ჭიჭინაძისა.



თბილისი  
როტინიანცის სტამბა.  
1887.



Дозволено цензурою тифлисъ 24 Юня 1887 года.

## ქართული მწერლობა

### XII საუკუნეში.

გრიგოლ ჩახრუხაძის შესახებ მოგვითხრობენ, რომ თამარ მეფის დროს სცხოვრებდაო. ამას ამტკიცებენ ჩვენი ძველი და ახალი მისტორიები და ამასვე ამტკიცებს ჩახრუხაძისაგან დაწერილი ზომის შინაარსი, სადაც გამოხატულია თამარ მეფის ქება და დიდება. ჩახრუხაძე დაბადებულია არაგვის ხეობაზე, სოფელს სევში. ეს ყოფილა გამოჩენილის მდიდარის მოსიყვარული შვილი. ჩახრუხაძის მამას ჭკაგებია მთელს მთიულთ სალსთ უფლება და გამგეობა, ეს უფლება მთ გვარის უფლებათ ყოფილა გადაჭრული. ამიტომ ესენი სრულ მთავრად შეიძლება რომ იწოდებოდნენ ქართლის ისტორიაში. ამ გვარის სალსთა ცნობები ქართულს სიგელ-გუჯრებში და ისტორიულს წიგნებში მხოლოდ მეცამეტე საუკუნის ნახევარში სჩანს.

გრიგოლ ჩახრუხაძე აღიზარდა მთაში, მცირე ხნის შემდეგ იგი მისცეს შიო მღვიმის სასწავლებელში, შიო მღვიმეში იგი კარგა სწავლა დაწავა, აქ განვითარდა იმ დროის დაკვლათ და ბოლოს საბერძნეთში წავიდა, საბერძნეთში ამან შეისწავლა ელინური და ლათინური ენები, შეისწავლა თვით ამ სალსთა მწიგნობრობაცა და გაიცნო აგრეთვე საბერძნეთის უძველესის დროის ფილოსოფიური მწერლები და მათ შორის პლატონის და არისტოტელის ნაწერებიც. ეს რომ ცხადია, ამას ამტკიცებს თვით ჩახრუხაძის ნაწარმოებიც, სადაც მოხსენებულია მრავალ ნაირი ცოდნა, თუ საბერძნეთის ისტორიის და ძველი მწერლების შესახებ და თუ სხვა და სხვა ხალხებთა ისტორიის და მწერლობისა.

განვითარების შემდეგ გრიგოლ ჩახრუხაძე საბერძნეთიდან ს-

ქართველში დაბრუნდა და როგორც გამოჩენილი მდიდრის შვილი და მცოდნე კაცი ეს თამარ მეფემ სამეფო საქმეებში მიიწვია და მცირე ხნის შემდეგ მდივნობაც მიუბოძა. ჩახრუსჰის მდივნობას ვახტანგ მეფეც მოიხსენებს, მაგრამ მეორე თავის წერილში კი ეს თავის ჰასრს საეჭვოთ სთვლის და ეტკით სწერს, რომ ჩახრუსჰე გონი თამარ მეფის მდივნად უნდა ყოფილიყოსო. ჩახრუსჰე მდივნად ერთობ მცირე ხანს ყოფილა, სხვა და სხვა მიზეზების გამო ეს მალე მთაში მიქცეულა და ამის თანამდებობა, ანუ მდივნობა მიუბოძებიათ შოთა რუსთაველისთვის.

ხეკში ყოფნის დროს გრიგოლ ჩახრუსჰეს დაუწერია თამარ მეფის და დავით მეფის შესხმა, რომელიც თამარისათვის მოურთმევია და რომლის მირთმევის შემდეგ თამარსაც საკმარისი წყალობა მიუცია მისთვის და უთხოვინა, რომ სხვებიც დასწერეო, მაგრამ სხვების დასაწერათ მას არ სცალგებია და მალე გარდაცვლილა. მთაში, რომლის სიკვდილის და ცხოვრების ამბები სრულიად უცნობლადაც დაშთენილა. გრიგოლ ჩახრუსჰე რომ მოხევე იყო, ამას თვით გრიგოლივე ამტკიცებს შემდეგის სტრიქონებით:

„მოხევეს ძეთა, ჩახრუსჰეთა, ექო თამარი მეფე წყლიანი,  
მისი სიმეტე, ბრძენთა სირეტე, თინათინ ვაქო ბალი წყლიანი,  
ასე თინათინ, ნუ ის თინათინ არაბეთს იყო სულადიანი,  
ჯერეთ უმაწვილი, წმინდანაწილი, სამოთხის გარდი, პირდა-მზიანი“.

გარდა ამის, რომ ამ ტაეზის ერთი სტრიქონის მოხსენებით ჩახრუსჰეს მოხეობა მტკიცდება, აქედამევე ხჩანს, რომ ეს შესხმა „აგეუხის ტყაოსნის“ შემდეგ უნდა იყოს დაწერილი. ამას ცხადად ამტკიცებს „აგეუხის ტყაოსნის“ თინათინის და არაბეთის მოხსენება. მაგალითად დვინც ამას წაიკითხავს.

„ასე თინათინ, ნუ ის თინათინ, არაბეთს იყო სულადიანი“,

ამით ვის არ განხსენდება შოთა რუსთაველის თინათინი და არაბეთი. ამ საგნის გარდა ჩახრუსჰის ჰოემაში ერთ ალავს გაკვერთი მოშანიკით შესახებაც არის მოხსენებული, რომ ლექსების წერა აი ასე უნდაო, როგორც მე გრიგოლ ჩახრუსჰე ვსწერო და არა მე-შაირობაო. რასაკვირველია, აქ, იგი რუსთაველის წინააღმდეგ უნდა

იძახდეს. ეჭვი არ არის. არჩილ მეფე კი ჩვენს ქაზრს ეწინააღმდეგება, არჩილი მოიხსენებს:— „რუსთველის და თეიმურაზ I მეფის გაბაასებაში“, რომ, შენ, მესხო, რას იქებ თავსაო, შენზე ზიკველად ჩასრუხაძემ არ სთქვა ლექსიო! ზიკველობა მას უნდა დარჩესო. არჩილი მოიხსენებს ამას, მაგრამ რა გამოვიდა აქედამ. არჩილი მოიხსენებს როგორც მელექსე ლექსებში და არა ისტორიული ცნობების დამწერი. ან როგორ იცოდნენ ჩვენი ისტორია ჩვენმა მეფეებმა და მამებმა ეს თვით მათივე მასალებიდანა სჩანს. სხვა და სხვა მასალებიდან და ცნობებიდან სჩანს, რომ ჩასრუხაძეს თავის შესხმა 1187 წ. დაუწერია.

ჩასრუხაძისაგან დაწერილს შესხმის ერთ ალაგას მოხსენებულთა სარგის თმოგველის მოთხრობა „დილაჩინი“ რომ:— „მოუბარისა მის მღუღარისა, დიღარისაგან აღმფოთებულად.“ სჩანს რომ „დილაჩინს“ თამარ მეფე აღუშფოთებია. სარგის თმოგველის „დილაჩინს“ გარდა ამაშივე მოიხსენებს სპარსეთის გამოჩენილის ზოეტის ფირდუსის ზოემა „შაჰ-ნამეს“ ანუ ქართულად „როსტომიანად“ წოდებულის გმირებს: როსტომს, ყარყუმს, არანს, არამს და სხვებს. აქედამ შეიძლება ვიფიქროთ, რომ „როსტომიანი“ მეთორმეტე საუკუნეშიაც უნდა ქრონიკით ქართველთ ნათარგმნი და არა მეჩვიდმეტე საუკ. როგორც ჰგონიათ ზოგი ერთს. ეს ის „შაჰ-ნამე“ რომელიც ევროპიულს ენებზედაც არის ცნობილი \*)

ჩასრუხაძის ძველს დედანზე შემდეგი წარწერა ყოფილა მიწერილი, ეს წარწერა მეც მომეყვას აქ:— „ესრულიად საქართველოს, ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა და სუთთა სამთავროთა და სხვათა, და სხვათა მწყობლის, ბაგრატიონის მეფის გიორგის ასულის, თამარ მეფისა და მეუღლისა შისისა კოსლან დავითისა, შესხმა ჩასრუხაძისაგან, რომელი იყო ადგილიდგან არაგვისათა, თემით ამოხვევი; ესე მან დალექსნა რც მარცვლად თვითოსა ტაქსა შინა წყობილად და მის გამო უწოდენ ქართველნი ჩასრუხაულსა, თვარა აკეს გვარი წყობილი ჩასრუხაული არაბულიდამ არის ქართულს ენასა, უხედა ნათარგმნი.“ არვიციით ჩვენ თუ ეს ცნობა ვის ეკუთნის და ან ვისი დაწერილია.

\*) Исторія литературы, шерра, 1866 г. Петер.

ანტონ კათოლიკოზი სწერს: „წყობილ სიტყვაობაში“ — ჩასრუხანის ძე უცხო პიიტეოსი, თამარ დიდისა მეობი შაირუბითა,“ და სსკა. არ ვიცით, ანტონ კათალიკოზი ჩასრუხანს მოშაირეთ რათ უწოდეს, რომდესაც ჩასრუხანის ლექსის ძაფს შაირ სიტყვაობის ზომას არა აქვს. ამ ლექსის ზომამ თავის განსაკუთრებითი სახელი მიიღო, რომელსაც „ჩასრუხანული“ უწოდეს! აქედამ ის უნდა ვიგულისხმეთ, რომ ჩასრუხანსე წინათ ამ ზომის ლექსი არ უნდა ყოფილიყოსო. თუ რამდენად ნათლოვანია ეს აზრი და სპეციალი, ამასე ჩვენ გარდაწვევით ხელს ვერ დავსდებთ, რადგანაც სარწმუნო ცნობები ცოტა გვაქვს. ზოგანსე ვი ვიტყვი შემდეგს: შავთელის ზოგანსე ჩასრუხანსე წინეთ უნდა იყოს დაწერილი, მაგრამ მისმა ზოგანსე ისეთი გაველანს ვერ იქონია, როგორც ჩასრუხანისამ. მის მიხედვით მგონი ის უნდა იყოს, რომ იოვანე შავთელი ბერათ შედგა, რომელიც დიდი მოწადინე იყო აღკვეცისა. იოსელიანი-ვი ეწინააღმდეგება ჩვენს აზრს, ამის ცნობებით ჩასრუხანსე 1187 წ. დაუწერია და შავთელის-ვი 1182 წ. მაგრამ საეჭვოა. ვიიქრობთ, რომ ჩასრუხანის ზოგანსე რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ უნდა იყოს დაწერილი, ამას ისიც ამტკიცებს, რომ რუსთაველი ჩასრუხანსე არსად ასხენებს და ჩასრუხანის ზოგანსე-ვი ერთ ალაგას მოშაირეთ წინააღმდეგ დარიგება არის და ამას რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ წინააღმდეგ ჰხადიან, თუ რამდენადმე შესაწინაარსია ეს აზრი, ამასე გარდაწვევით ჩვენ არას ვიტყვით.

1862 წ. ქუთაისის ეკლესიის „გულანში“ აღმოჩნდა ერთი ცნობა. რომელშიაც მოხსენებულია გრიგოლ ჩასრუხანსე. ცნობა შეეხება დავით აღმაშენებლის დროის სასულიერო პირთ კრებას; რომელიც მოხდა ქართლში, ს. რუისში, იმ კრების გარდაწვევითლების პირი გარდაწვევია გრიგოლ ჩასრუხანსე: — „კაცს ბერძენს და მეცნიერს“. იქ ამოიბს ის: — „წიგნისა სიმართლისათვის, ეჭვი ნუვის გაქვსთ, პირველი დედა მართალი და კარგის მწერლისა დაწერილი მქონდა“ და სხვა.

ჩასრუხანის ზოგანსე 109, 110, 111 და 112. ტავანდ მოხსენებულნი 29, 30 და 31 ქოროდ განხილურებიან, აგრე-

თვე 85 და 86 ტაქსნი თექვსმეტ მარცვლოვანი ლექსია და არა „ჩახრუხული“ ე. ი. ოც-მარცვლოვანი. ამ ლექსის ზომის შესახებ გარდამოცეს, რომ ტაქსნის სტრიქონი ოც-მარცვლოვანი ლექსით-გი არ უნდა იყოს, არამედ სტრიქონი სამ სტრიქონად უნდა გაიყოლოს მან:

„მო, თილისოფნო,

სიტყვითა არსნა“,

თამარს ვაქებდეთ გულის ხმიერსა.

ჭიქობენ, მაგრამ, ამას ამავე ზომის 85 და 86 სტრიქონნი ეწინაღობებიან, ამიტომ საეჭვოა. ამასვე არღვევს ლარსძე მეორედ აღდგენილს „დილარინის“ ლექსებში. 1838 წ.

ჩახრუხადის ზომა პირველად იოსელიანმა დაბეჭდა 1838 წ. ქ. ტფილის. ამის შემდეგ 1863 წ. ჩუბინაშვილმა ჩაბეჭდა თავის ქრესტომატიასში და 1882 წ. ცალკე წიგნათ მე გამოვეცი, ქ. ტფილისს. გამოცემაში დავიცევი ყველა, რაც ორს სხვა ძველს გამოცემაებში დაეცვათ.

სარგის თმოგველის სახელს ჩვენ პირველად გიორგი მესამის მეფობის ისტორიაში ვხვდავთ. იგი გამოჩენილი პირია გიორგის და თამარ მეფის ისტორიაში. სარგისი ეკუთვნის სომხის შთამომავლობას. დავით აღმაშენებლის შამს, საქართველოში, მათი გვარის შვილნი სომხეთიდან გადმოსახლებულან, სომხეთის ახრების გამო და სამცხე საათაბაგოს სოფელს თმოგვი დასახლებულან, ამათვის საქართველოს მეფე დავით აღმაშენებელს დიდი პატივი მიუზღერია. ზოგიერთი მებისტორიენი სარგის თმოგველის გვარს აჩუთაშვილებათ ხადინ და საქართველოს მეფეთაგან მხარგმელათ წოდებულს. ამათი გვარის შვილნი სარწმუნოებით სომხის ეკლესიას ეკუთვნოდნენ და დროის განმავლობის მეოხებით გვარტომობით, ჩუქულებით, ზნით და ენით-გი სრულიათ გაქართველებულან. სარგის თმოგველი შესანიშნავი მსედარი ყოფილა, ამის შესახებ არამც თუ „ქართლის ცხოვრებაში“ და სხვა ქართულს ისტორიებშია აღწერილი, არამედ ვიზანტიის ისტორიკოსებიც-გი მოგვითხრობენ \*) მის შესახებ, მოწ-

\*) Древняя Месхія, Д. Баградзе. 1855 г.

ძობს დ. ბაქრაძე. თამარის გამეუბების შემდეგ სარგის თმოგველს უფრო მეტი პატივითა და ღირსებით ვსედავთ ქართლის ცხოვრებაში. აქამდის თუ სარგის თმოგველი გამოჩენილ მსედართ-მთავრათ ითვლებოდა, იმიტომ თამარ მეუის გამეუბების შემდეგიდამ მან ამირ-სპასალარობაც მიიღო, რომელი იანამდებობაც თითქმის მათ გვარის გუთანილებათ გადაქცა. ამირ სპასალარობამდის ამათ ეკავათ თავიანთ სამკვიდროთ მსოფლოდ სოფელი თმოგვი, თავის მიდამოებითა და სელხითა. და ამირ-სპასალარობის შემდეგიდამ-გი მას მისცეს: ღორეს სათავადო და სამთავროც.

საქართველოს ისტორიულს წერილებში და ქართლის ცხოვრებაში სარგის სპასალარს და მის შვილებს თმოგველათაც მოიხსენებენ და არა თავიანთის ნამდვილის გვარით, თუმცა ზოგი ერთ ზღაპარს მსარგველათაც მოიხსენებენ. სარგის სპასალარის შვილები იყვნენ ზაქარია და ივანე მსარგველნი, სპასალარნი თამარ მეუისა. სარგის ისე უმეტადინეა თავის შვილების აღზდასე, რომ შვილები მამას დასჯობებინან. ამის ერთმა შვილმა ზაქარია მსარგველმა ისე დაიმსასურა მეუის თამარის წინაშე, რომ თამარ მეუემ ზაქარია ამირ სპასალარი სომხეთის სამეფო სატასტო ქალაქში სომხეთის გამგებლათ დანიშნა და ივანე სპასალარს საქართველო მიანდო. ვუნდა ვადვიროთ, რომ ივანე და ზაქარია მსარგველნი იყვნენ მარჯვენა მკლავნი თამარ მეუისა, მაგრამ ქართველთა სიწმიადის მოყვარე კათალიკოზმა და ბერებმა ამათხედაც იქონიეს გავლენა და შფოთები ჩაადეს, რანისა მეოხებით იოვანე სპასალარი მართლმადიდებელ ეკლესიას შეუერთდა და ზაქარია-გი დარჩა ისე, რანისა გამო სომხეთა და ქართველ ბერებში საშანელი ბრძოლაც ატუდა და ამ ბრძოლას იქამდინ მიუცა გავრძელება, კიდრე მაჭმადის დროშა არ აღიმართა და ეს ორივ დამღუპავნი ერთი არ დაწყინარა.

სარგის თმოგველს საქართველოს ისტორიულს წერილებში ბრძნათა და მწიგნობარ ვაფათ მოიხსენებენ უველგან. განმარტგენ: რომ „სარგის თმოგველი კაცი ბრძენი და მწიგნობარიო“. მას თავის სიკვდილის დღემდის სამეფოს დიდ ერთგულ მოღვაწეთ გარდმოგვეტემენ და ყოველს საქმეში და ყოველს მოქმედებაში დიდ



შორს გამსჭვრეტელ პირათაც ყოფილა, მაგრამ როგორც განმარტვენ, უგანასკნელს დროს-კი მასა და თამარ მეფეში პატარა უკმაყოფილებაც ჩამოვარდნილა, რის მეხებით სარგის თმოგველი სამეფოსაქმეებს განშორებია და დამკვიდრებულა თავიანთ სამამეულო სოფელს თმოგვიში, სადღე მალე გარდაცვლილა კიდეცა, ბაქრაძე მოწმობს, რომ სარგის თმოგველის საფლავი დღევანდლამდის სჩანს სოფელ თმოგვის ეკვლესიაშია. როგორც მოიხსენებენ, რომ სარგის თმოგველი, ოკაცი ბძქენი და მწიგნობარია“ მართლაც და იგი თავის დროის კვალათ გამოჩენილი ქართველი მწიგნობარი ყოფილა, სცოდნია ქართული, სომხური, სპარსული და ბერძნული ენები და მწიგნობრობა. ქართულს მწერლობაში ამას მოხაწილობაც ჰქონია მიღებული და სხვათა შორის მას დაუწერია მოთხრობა „დილარიანი“, რომელზედაც შოთა რუსთაველიც მოიხსენებს თავის უგვდავს „ვეფხისტყაოსანში“ რომ „და დილარგეთს სარგის თმოგველსა, მას ენა დაუშრომელსა“. ამ მოხსენებიდამ ცნადათ სჩანს, რომ სარგის თმოგველს თავის „დილარიანი“ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ წინეთ უნდა დაეწეროს. ეს ცნადაც, რადგანაც რუსთაველი უამისოდ მას არ მოიხსენებდა, სარგის თმოგველის „დილარიანს“ ჩანს რუსთაველს მოიხსენებებს თავის პოემაში და განმარტავს, რომ „მოუბარისა, მის მღუღარისა დილარისაგან აღმოეთებულად“ ე. ი. თამარ მეფე „დილარიანი“ ალაშქოვითა. ჩვენ ვგვიჭრებთ, რომ იქმნება სწორეთ აი ამ „დილარიანისაგან“ გამოწვეული შოთათები გასდა იმის მიზეზათ, რომ სარგის თმოგველს და თამარ მეფეში პატარა უკმაყოფილებაც ჩავარდნილა, რისა გამო სარგის თმოგველი სამეფო თანამდებობას განშორებია და სოფელს თმოგვიში დამკვიდრებულა. სარგის თმოგველის „დილარიანის“ გამოხატონ კატოლიკოსიც აქებს და შემდეგ იამბიკოს მიუძღვნის:

„სარგის ესეცა, შოთაებრი ანს კაცი,  
 სიბრძნის მოყვარე, ფილოსოფოს გამომთქმელ,  
 რიტორ მშვენიერ, ვიიტეოსს საქმეელ,  
 თვით შოთა იტყვის „დილარგეთს“ ჭეჭია მას,  
 საქმე ანს ესეც თქმულთა მათთვის მიზეზთა.

ამ იამბიკოს შემდეგ მიწერილია იოსელიანის შენიშვნა: „სარგის თმოგველი სცხოვრებდა თამარ დედოფლის ჟამსა, ესე იგი 1190 წელსა, ამას აღწერა წიგნი „დილარჩიანის“ და სსვათა მისთა წერილთა ანა მოაწიეს ჩვენთა დროთადმე“ გუნდა ესთქვათ, ჩანსრუსადის გარდმოცემისამებრ, რომ „დილარჩიანის“ ცუდი ბედი დასდგომა და იმავ დროსვე შეწყვეტილს მისი გავრცელება. გავრცელებით-კი არ გავრცელებულა, მაგრამ ორიოდ ეგზემპლარი „დილარჩიანის“ მაინც გადაჩვენებდა. ჩვენ არ ვიცით და არც არას მკველი მწერლები მოგვითხრობენ იმის შესახებ, თუ „დილარჩიანში“ რა იყო ისეთი საწინააღმდეგო, რომელმაც გამოიწვია და დაიშასურა მეფისა და უმადლესთ შიშთა წინაშე სიძულვილი. ისტორიელის წერილებიდან ცხადათ სჩანს, რომ სარგისისა და თამარ მეფეში მაინც დიდი განსეთქილება არ უნდა ყოფილიყო, რადგანაც ამათ კავშირს ვხედავთ ჩვენ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ „დილარჩიანში“ სსვათა შორის იქმნება ისიც იყო განმარტული, თუ სარგისის შვილმა ივანე სპასალარმა როგორ მიიღო მართლ-მადიდებელი ეკლესიის წესები და მან რა უთანხმოება და სიძულვილი გამოიწვია ორს ქრისტიან ხალხში. მუამას მიტომ უფრო ვფიქრობ, რადგანაც წამიკითხავს, რომ: „დილარჩიანის“ ქართულს ენაზედ შეთხუშული წიგნიაო. სადაც აწერილია მეფეთა, მთავართა და ერის ამბებიო. ძალიანაც ადვილი შესაძლებელი იქნებოდა, რომ მეფეთა და მთავართა ამბებში სარგის თმოგველს ის ამბებიც ჩაერთა, რამაც ასტკესა ორი მოძმე ქრისტიანი ხალხი და რაც განდა მათ უბედურების მიზეზათა. ამას ჩვენ მიტომ უფრო ვფიქრობთ, რადგანაც სარგის თმოგველზე მისი შვილის იოვანეს საქციელს ცუდი გაკლესა ექმნებოდა. თუ ამ შემთხვევაში შვილის საქციელის რიცხვი მამის სიცოცხლის დროს არ აქნინაღმდეგება.

შოთა რუსთიველი „რეფსის ტყაოსანში“ ისეთ ნაირათ მოიხსენებს „დილარჩიანის“, რომ ეს თავის შინაარსით საყურადღებო თხუშულება უნდა ყოფილიყო. უამისოთ რუსთაველი არ იტყვოდა, რომ „დილარჩიანის“ სარგის თმოგველსა, მას ენა დაუშრომელსა“ მართალია სარგის თმოგველის თხუშულება იმავ დროსვე მიეცა გაუგრცელებლობას და დაივიწყებას, მაგრამ ორი სამი ხელთნაწერი მაინც გადაჩვენა და დაცული იქმნენ, რომლებმაც შეთხრამეტე საუ-

კუნებდისაც მოაღწიეს, მაგრამ უბედურს ქმნილებას ბოლოს მანტ  
არ ასცდა აღმგვილი სვედრი და მეთუქრამეტე საუკუნის დასასრულს  
სრულიად აღგვიდა. აი როგორ და რა მიზეზებით.

მეთუქრამეტე საუკუნის დასასრულს საქართველს შეეკთა ოჯახ-  
ში ინასებოდა ერთათ ერთი სელთნაწერი „დილარჩანისა.“ ეს წიგ-  
ნი ძვირფასი და იშვიათი ყოფილა, ბატონიშვილები თურქე დიდათ  
ათასებდნენ მას. წიგნები დატული ყოფილა პეტრე ლარაძის ხელში,  
ეს ის ლარაძეა, რომელმაც აგეფის ტყაოსანიც“ გადააკეთა თაჟი-  
სებურათ. მუცრამეტე საუკუნის შემდეგ როცა ქართველ ბატონიშვი-  
ლები რუსეთში გადასახლდნენ, მას შემდეგ „დილარჩანის“ სრუ-  
ლიად დაიკარგა. ამ წიგნის დაკარგვის ამბები რომ შეუტყვიათ ბა-  
ტონიშვილებს, იგინი უსიამოვნებას მისცემონ და ძებნა დაუწყვიათ,  
მაგრამ ველარ უბოვნიათ, საქართველოშიაც სმა დაუგდიათ, რომ  
ვინც „დილარჩანის“ იპოვის და წარმოადგენს, იმას დიდ საჩუქარს  
მივსცემთო. მანც „დილარჩანის“ არსად აღმოჩენილა, ბოლოს ლა-  
რაძეს მოუხსენებია მეფის შვილებისთვის, რომ „დილარჩანის“ მე-  
ზეპირათ ვიცი და ისევე აღვადგენ, როგორც დაწერილი იყო. ბა-  
ტონი შვილები საჩუქრის მიცემას დაჰპირებიან და ლარაძესაც  
სარგის თმოგველის „დილარჩანის“ მუცრეთ აღუდგენია. ჩვენამდის  
მოაღწია ლარაძესაგან აღდგენილმა „დილარჩანისმა“, რომელზედაც  
1878 წ., „ივერიაში“ ბ. პეტრე უმიკაშვილმაც განმარტა. ლარაძე-  
საგან აღდგენილი „დილარჩანის“-დამ ჩუბინოვმაც გადაბეჭდა ორი-  
ადგილი თავის ქრესტომატიის პირველსა და მეორე ნაწილებში და  
პირველ ნაწილის (1848 წ. გამოცემა პეტერბურგს) რუსულს წინა-  
სიტყვაობაში ისეც აღნიშნა, რომ „დილარჩანის“ სარგის თმოგვე-  
ლისა არისო. ამზე აქ ჩვენ სხვას არას ვიტყვი, რადგანაც ლა-  
რაძის ამბებში გრცელად და დაწვრილებით მაქვს აღწერა.

ამ საუკუნის მეისტორიები სარგის თმოგველს „დილარჩანის“-  
გარდა „ივერიაში“ დაწერასაც აწერენ. ბ. ჩუბინაშვილმა თავის  
ქრესტომატიის პირველი ნაწილის წინა-სიტყვაობაში ასე მოხსენა,  
ესევე შეტდომა ბაქრაძემაც განიმეორა 1855 წ. გაზეთ „კავკასში“-  
ში. შემდეგ იოსელიანმაც ასევე განმარტა ბეგრეკერ და 1881 წ.

„დროება“—შიც ასევე მოიხსენა მეუნარგამ, რომ „ვეისრამიანი“ სარგის თმოგველს ეკუთვნისო. ამ უკანასკნელს დროს ესევე აღიარეს „ვეისრამიანის“ გამომცემლებმა, რომ „ვეისრამიანის“ დაწერას სარგის თმოგველს აწერნო. თუმცა ცოტა ეჭვიც აქვსთ ამაზე. სხვა სახელგანთა მწერლებთა ამ გვარ შეცდომებს სომ რიცხვი არა აქვს. მაგრამ რა საჭიროა ამაზე საუბარი. სარგის თმოგველს რაც დაუწერია, ის „ვეიფხის ტუაოსნიდამაც“ სჩანს. აქ მოხსენებულია, რომ „დილარგეთ სარგის თმოგველსა, მას ენა დაუშრომელსა“ ამას ჩვენგან განმარტვა აღარ უნდა, რომ სარგის თმოგველს „დილარინი“ დაუწერია. აქ ისიც შეიძლება ვიფიქროთ, რომ განა ის-გი არ შეიძლება, რომ ამავე პირს „ვეისრამიანიც“ დაეწერათ, ამაზე ჩვენც ვიფიქრობთ, მაგრამ ძველათ მოხსენებულს დავით საათაბაგოელს წაღას ვეტყვიოთ და ან მის სახელს რას უზამთ. ამიტომ ჩვენ „ვეისრამიანის“ მთარგმნელათ დავით საათაბაგოელს ვადგვიარებთ და „დილარინის“ დამწერათ სარგის თმოგველს. სარგის თმოგველის შესახებ „ვეიფხის ტუაოსნის“ დამატებაში (1880 წ. ივრია) სწერია, რომ:

„ეს ამბავი დარჩომოდა სარგის ლექსთა შეუწყობლად, ზრეკ თმოგვი თმოგველთაგან შესავლითურთ დარჩა ობლად, ესე სიტყვა მოასსენეს, ვინ სჩანს გმირთა რაზმთა წყობლად, და მიბრძანა თუ: „ლექსად თქვიო, მჭეკრ ქართულად, დაუშრომლად, არვიცით ეს ტაეში რას მოასწავებს და ან რა ცნობებია გამონახტული ამაში. ერთ ადგილას აი რა არის კიდეე:

„აწ გონიერო, სიტყვანი მოსმენით შეიწყნარენით,  
ძველი ნარჩომი ამბავი ლექსად ვსთქვენ გაიხარენით,  
სარგის დაუჩხა უთქმელად, ჩვენ ესე დავაბრალენით,  
და ლექსი მიქენით ამისთვის ენანი გამახმარენით.“

ჩვენ ჭეშმარიტათ გვწამს, რომ ეს გაგრძელება სხვისაგან უნდა იყოს დაწერილი და არა შოთა რუსთაველისაგანა და ამიტომ აქ მოხსენებულს სარგისის შესახებ ცნობებს ჩვენ განსაკუთრებითი მნიშვნელობას არ ვაძლევთ.

ჩვენის ძველის მწერალთ ცნობების მოწმობით ჩვენ შეუწყვე-

ღათ უნდა გვწამდეს ის ჭარბი, რომ სარგის თმოგველს ეკუთვნის „დილარჩიანის“ დაწერა და არა „ვისრამიანისა“. სარგის თმოგველის დილარჩიანის შესახებ ჩვენ გვინდოდა რომ აქ ვრცელად გვესაუბრა, მაგრამ რაჭი ამ თხუზულებამ ჩვენამდის ვერ მოაღწია, ამიტომ ჩვენ აქ ამაზე შევჩერდით და რაც ცნობები მოვიუვანეთ აქ ესეც ვიკმარეთ. სასურველი-გი იქნება, რომ ლარსქესგან ნაჭივგნს „დილარჩიანს“ გარდა სარგის თმოგველის „დილარჩიანის“ აღმოჩნდეს.

მოსე ხონელი სცხოვრებდა მეთორმეტე საუკუნეში, 1140 წლებში, დავით აღმაშენებლის დროს. მცირე ხანს გიორგის მეფობასაც მოსწრება. იგი დაიბადა იმერეთის დაბა ხონში, რომელც ცნობას შოთა რუსთაველიც ამტკიცებს, რომ „ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსო“. მოსე ხონელი აღზრდილა იმ დროის ახლად ცნობილს გაენათის მონასტერში. აქ შეუსწავლია მას წერა-კითხვა და სხვა და სხვა იმ დროის საჭირო საგნები. გაენათის მონასტრიდამ გამოსულა და დავით აღმაშენებლის ბრძანებით საბერძნეთში წასულა. საბერძნეთში რამდენიმე წელიწადს დარჩენილა და ბოლოს დაბრუნებულა საქართველოში. საქართველოში მოსვლისას იგი სცხოვრებდა იმერეთში. იმერეთიდან გადმოვიდა ქართლში, ქართლში მას მისცეს მდივნობა, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამო-გი დიდხანს ვერ დარჩა მდივნათ და დიმიტრი მეფის თხოვნით იგი ქართველთ მთიელთ მთავრათ დანიშნეს. მთიელთ მხარეში ეს დარჩა რამდენიმე ხანსა და დავით აღმაშენებლის სიკვდილის შემდგომ იგი დაბრუნდა თფილისში. თფილისში სცხოვრებდა მეფის დიმიტრის კარზე, აქედამ ეს გაგზავნილ იქმნა სპარსეთში, სამეფო საქმეების გამო. სადაც დარჩა კარვა ხანსა და აქ შეისწავლა მან სპარსული და არაბული ენები და მწერლობა. რამდენიმე ხნის შემდეგ იგი სპარსეთიდან ახლად აოხრებულს სომხეთის ქალაქ ანში გადამოვიდა, სადაც მცირე ხნით ქართველთ ეკლესიის საქმეებიც განაგონიდანამ მოვიდა თფილისში და მეფის კარზე სცხოვრებდა. ბოლოს მოსურვებაში ეს გადავიდა იმერეთში და სამეგრელოში გადაიყვალა.

ზოგი ერთი მწერალი მოსე ხონელს ხონის მთავრათ მოიხსენებს, ზოგი ერთი საზინადრათ, ზოგი მდივნათ და ზოგიც მოლარეთ-უსუცესათ.

მოსე ხონელს ქართულს მწერლობასშიაც ქქონია მონაწილეობა მიღებული, ამას დაუწერია ზღაპრული მოთხრობა სასულდობრ „ამირან დარეჯანიანის“ ეს მოთხრობა იგავ-სიტყვაობით არის დაწერილი, მოთხრობის გმირთა სასულები, ადგილ მდებარებათა წოდებანი გასვანი ცხადათ ამტკიცებენ, რომ იგი შეიცავს საქართველოს ერის ცხოვრების ცნობებს. შიგა და შიგ უცხო ტომთა და მხარეთ სასულ-წოდებანიც არის ჩამოთვლილი. სსვანთა შორის აქ არის მოხსენებული ქაჯეთი, ქაჯეთის ცისე, ხატაკეთი, არაბეთი, შარასანი ჰინდნი და სსვანი. შიგა და შიგ ზოგ ერთ ალაგას მოგვითხრობს მოსე ხონელი, რომ ამ და ამ გმირმა კაის ქართულის ენით სთქვა სიტყვაო. მოთხრობის გმირთა სასულები და ხასიათები ერთობ წაჭკვანან „გეფესის ტყაოსნის“ გმირთა და სსვანთა და სსვანთა წოდებათა. ვინც ამას წაიკითხავს ის ამასე დაწმუნდება, რომ შოთა რუსთაველზე „ამირან დარეჯანიანის“ საკმარისი გაკვლეა უნდა ქქონიუო. ამ მოთხრობის წაკითხვის შემდეგ რომ წაიკითხოთ „გეფესის ტყაოსანი“ თქვენს თავში მამინათვე ეს ჰაზრი დაიბადება, რომ ან ერთს. უნდა ქქონოდეს მიბაძვა და ან მეორესო. — „ამირან დარეჯანიანის“ ენაჲი „ვისრამიანის“ ენის ფორმებს ჰგავს. სიტყვების დაწმსვნა და უღვლილებანი სრულს „ვისრამიანის“ ენას დაგიმტკიცებთ, ხელოვნების მხრით და სსვა და სსვა პირთ ჰსიხოლოგიურის აღწერი გი ეს ბევრათ დაბლა სდგას „ვისრამიანზე“.

მოსე ხონელი „ამირან დარეჯანიანის“ ისე ათავებს, რომ მისთვის ამ მოთხრობის დაწერა ვიდაცა სამეფო პირს უნდა ეთხოვნოს, რომელსაც იგი ამისით ამირს უწოდებს. „ქართლის ცხოვრებიდამ“ ამირთ ამირი ვიცით ვინც არის, მაგრამ ამის გარჩევას მე არ ვკეპები აქ. გარდა ამის, ერთ ალაგას გაკვრით ის შენიშვნაც არის, რომ თვითქოს ამ მოთხრობაში მოხსენებულის ერთი გმირის გვარი სავარსამიძე უნდა იყოს მოსე ხონელის გვარი. ამ მოთხრობის ერთი მოხუც დაბანისულ მოწიგნობარ გმირთაგანი ეს სავარსამიძეა და ამიტომ შესაძლებელიც არის, რომ ამ სავარსამიძეს მოხსენებაში იფარებოდეს მოსე ხონელის ცხოვრების ამბები.

„ამირან დარეჯანიანის“ განიყოფება თორმეტ კარათ, ამ მო-

თხრობის ორი ადგილი ქართულს ქრესტომატიასა დაბეჭდილი. ამ მოთხრობის მოპოების და დაბეჭდვის გამო 1884 წ. „დროებაში“ წერილი დაბეჭდე, რომელ წერილის გამო ერთი ხელთნაწერი თფილისშიაც მივიღეთ. უეჭველია თავის დროს ამასაც დაბეჭდვენ, რადგანაც „ქილილა და მანის“ დაბეჭდმა ისუფვა, რომ ამ წიგნის თუღლით „ამირან დარეჯანიანი“ დაბეჭდოსო.

„ამირან დარეჯანიანი“ უფრო ვრცელდებოდა ძველათ, ვიდრე სხვა ძველი ამგვარი მოთხრობები.

ძაგნაკორელი სცხოვრებდა მეთორმეტე საუკუნეში, დავით აღმაშენებელის დროს. დაიბადა იგი არაგვის მხრისკენ მდებარე სოფ. ძაგნაკორაში. აღზრდილა საქართველოში, მსუდრობაში და რანდობაში გაწვრთნილი და საუვარელი მელექსე ყოფილა დავით აღმაშენებლის და მისი შვილის დიმიტრი მეფის. ძაგნაკორელის ცხოვრების წელნი 1092—1143 წლებადის მიადწევს. იგი ყოფილა საკმარისად მდიდარი კაცის შვილთაგანი.

ძაგნაკორელს სცოდნია ლექსების და შაირების წერა. ამას შეუძია დავით აღმაშენებელი და მრავალიც სხვა იმ დროის ქართველი მეომრები, რომელთაც მონაწილეობა მიუღიათ დავით აღმაშენებელთან საქართველოს არაბთა განთავისუფლებაში. ძაგნაკორელს ეკუთვნის მრავალი შაირები, სახალხო ლექსები და სხვანი, რომელნიც მთელს საქართველოში ყოფილა მოთენილი და რომლის მრამრავალი ლექსები დღესაც იქმნება დარჩენილი, მაგრამ ამ ლექსების ჩვენკი არა ვიცით რა.

ზოგი ერთ ძველთ მელექსეთ თქმულებიდან სჩანს, რომ ძაგნაკორელი ძუფე დავით აღმაშენებელს თან ახლდა და მეფის სიკვდილის შემდეგ იგი დაბრმავდაო. ბოლოს ბერათ შემოსილა და სოფლის საქმეს მოშორებია. ძაგნაკორელის ლექსის ფორმა ყოფილა თექვსმეტ მარცვლოვანი და მიტომ მრავალნი ძველი მელექსეები თავიანთგან დაწერილს თექვსმეტ მარცვლოვან ლექსს ძაგნაკორულს უწოდებენ. სჩანს მამ ძაგნაკორელს შემოუღია ჰირველად თექვსმეტ მარცვლოვანი ლექსის წერა, რომლის შემოღებულნი ლექსის წერის ფორმითაც დასწერა შოთა რუსთაველმა თავის „ვეფხისტყაოსანი“ და

რომლითაც ადიდა ენა ქართული. ამ ძაგნაკორულის ლექსის ზომითვე უწერია პ. ბაგრატიონს თავის ლექსები, რომლებიც 1852 წ. „ცისკარშია“ დაბეჭდილი. სჩანს ბაგრატიონს ძაგნაკორულის ლექსები უნდა ეკითხოს. რადგანაც ესეც მოიხსენებს მას.

მგონიელი ცხსოვრება მეთორმეტე საუკუნის დასაწყის და ანა მეთერთმეტე საუკუნის, როგორც წინეთ მოვიხსენეთ „შოთა რუსთაველში“. ეგრისელი გამომჩენილი პირი ყოფილა. ამას სცოდნია კარგად ფანტურის დაკვრა და მასთანვე გამომჩენილი მელექსე ყოფილა. ეს მოსწრებია დავათ აღმაშენებელს, ეგრისელის ცხსოვრების წელნი 1131 წლამდის მიაღწევს. ეგრისელს უჭია ბეგრატ მეთხე ლექსად, ზეპირ უთქვამს მას ბაგრატის ქება და მიტომ საჭებ საკვირველათ ყოფილა იგი ყველასთვის. პირველად ამ ეგრისელს შემოუღია რვა მარცვლოვანი ლექსის წერა. უეჭველია, რომ იმისგან ნათქვამი ლექსები მთელს საქართველოში იქმნებოდა მოფენილი და მის მრავალი ლექსები სალხში დაჩენით ხეენამდისაც მოაღწევდნენ. ეგრისელის ლექსების თორმას მრავალი ძველი ქართველი მელექსეებიც მოიხსენებენ თავიანთ ლექსებში და სწერენ, რომ „ეგრისეულიო.“

ეგრისელის ვინაობაზე ხეენს ძველს მწერლობაში გარდა მის ცხსოვრების დროის რიცხვთა სხვა ანათერი სჩანს.

ივანე შავთელი \*) ცხსოვრება მეთორმეტე საუკუნეში, თამარ მეფის დროს. იგი იშვა სამცხე-საათაბაგოს სოფელს შავთას. მეთექვსმეტე საუკუნის საშუაღს, როდესაც საქართველოს შინაგან მოქალაქობრივ და პოლიტიკური ძალა დაეცა და მამნიდეღის მამუღის ზოგიერთა მამათა ამოხების მეოხებით გარეშე აგარინათა ტომნიც აღავლავდნენ და ასტუდნენ, მას ყამსა: აღბორკებუღის და განხვინებუღის ოსმადათა მიერ აოხრებუღ-იქმნა და იავარ-ყო-

\*) ივანე შავთელის შესახებ, მე ეს წერილი 1883 წ. ცალკე წიგნათ გამოვეცი, რომელი გამოცემაც იმავე წლის „დროების“ ერთ ფელეტონში გაარჩია ბ. ნანიაშვილმა. ეს სტატია (გარდა ივანე შავთელის სახელ-წოდებისა) თავის შინაგან მოსაზრებაებით მე საყურადღებოთ დავინახე და მის შემდეგ ამ აღწერაში ბევრი რამ გავუკეე და ისე შემოვიტანე აქ, ასე რომ დღის შემდეგ ეს აღწერა უნდა იქმნეს მიღებული ჩემს ნაწერებში და არა ის, რომელიც 1883 წ. გამოვეცი ცალკე წიგნათ.



ფილი დასავლეთ საქართველო და სამცხე საათბაგო, რომლისა თემ-  
შიაც მდებარეობდა იოვანე შავთელის ბინათ-სადგური სოფ. შავთაო,  
აღნიშვნენ, რომ „ამ მხარეში მთავაკე ნათლფანის სიმგრგვლით  
მცხინვარება და გამოკრთოდა“ როგორათაც კრძალულების სწავ-  
ლას განათლებულთ შირთ-რიცხვით, აგრეთვე სასწავლებლებით და  
გონება უზადო და ცა სატ ქმნილ დიდთა მწერალთა რიცხეთა“  
ეს რასაკრეღია საბერძნეთის სიანლფვის გამო.

იოვანე შავთელი აღზრდილ იქმნა თავის სამშობლოში, სოფელს  
შავთას. ჯერეთ ისევე ჰატარა ყოფილას, რომ მის მშობლებს იგი  
მიუბარებიათ შიო მღვიმის მონასტრის სასწავლებელში, რომლის  
სასწავლებელიც მდიდარი ყოფილა ვიზანტიის მწერალთა ისტორიუ-  
ლის წიგნებითა, კლასიკურის და უძველესთ მსოფლიო მწერლების  
ნაწერებითა, სამოსწავლო სიმდიდრითა და ქართველთა მეფეთა ჰა-  
ტივის-ცემისაგანო. დიდის აღმომზეობით და უაღრესობით განი-  
სმობდა მისი ქება და დიდება მთელს საქართველოშიო. ამის შე-  
სახებე ქუხილის მსგავსის საუბრით განგვიმარტვენ საქართველოს  
ისტორიის მწერალნი. საქართველოში სწავლა მიღების და განვი-  
თარების შემდეგ შავთელი გამოსულა შიო-მღვიმის მონასტრიდანა  
და განუძრავს ათინად გამგზავრება.


რამდენიმე ხნის განსროლნის შემდეგ იოვანე შავთელს ჰდირსებია  
ათინაში გამგზავრება და ივერიის მონასტრის აკადემიასში შესვლა,  
სადაც მრჩობლად წასვლია სწავლა განათლების საქმე. ეს ხსენებული  
მონასტერი მეათე საუგუნის დამლეკს იქმნა საძირკველ-ჩაყრილი და  
დაარსებული, განჭბრწყინებული და აღორძინებული ქართველთ განვი-  
თარებულ შირთა-მიერ და ქართველთა მეფეთა ჰატივის ცემისაგან.  
ამავე მონასტრის მასლობლივ დაარსებულ-იქმნა ქართული წიგნების  
„წიგნთ-საცავი“, მოპოვებული ყოველ-ნაირი ძველი და ახალი ქარ-  
თული წიგნები, შეკრებილი სხვა-და სხვა-ტომთ ენებზე შედგენილი  
სამეცნიერო თხზულებანი, მიწვეულ-იქმნენ სხვა-და-სხვა საგნების  
დიდნი და დახელფანებულნი ფილოსოფოს-მასწავლებლნი, რო-  
მელნიც განთქმულ და განვითარებულ-იყვნენ პლატონიურის, არის-  
ტოტელის, დიონისიურის და სხვებისაგან შემოღებულს მკვ. მუ-

ტყველურს ფილოსოფიასში, რაისა ძალით ყოველს საგანზე მარტოვი და ძალიად ასწავლიდნენ ქართველთ შვილებსაო.

ათინასში მეოფნი ქართველნი დიდად მეცადინეობდნენო, რომ ქართველთა ერის შვილებს თავიანთი უბიწო და ბნელი გონება ელინთა მეცნიერების საშუალებით გაეხსნათ და ამ გვარის საშუალებით და სწავლა მეცნიერების მიდრეკილებით საქართველოსში აღორძინებულ იყო დიდი და კლასიკური სწავლა განათლებაო, იოვანე შავთელმა მიიღო შესაფერი განათლება, განვითარების შემდეგ ის გამოვიდა სასწავლებლიდან და შემდეგ ამის წარქმართა ეგვიპტეს, ფინიკიას, ვითარ განმარტვენ. ამ გვარს უძველესთ მხარეებში, რომელნიც აფეკვებულ-ყოფილან თავიანთის შინაგან სწავლა განათლებით, და გონებითის წარმატებით, ამას თვით ასლის დროის ძეისტორიენიც განგვიმარტვენ, ამ გვარს ადგილებში მოგზაურობის გამო, ივანე შავთელი უფრო განვითარებულა სამკვერ-მეტყველო ფილოსოფიასში და შემდეგ იგი დაბრუნებულა საქართველოსში. აღნიშვნენ, რომ ამისაკე დროს დაბრუნდნენ მრავალი სასწავლი ქართველი ემაწვილნიო, რომელთა გონებაც ელინურის სწავლით იყო განსწავლულიო, მათ შორის, თუ ცოტა მის-ხნის შემდეგ დაბრუნდა ჩვენი მნათობ კარსაკლავი და მელექსეობის დიდი კერა შოთა რუსთაველიო, რომლის სასკლსაც სანუკვად განმარტვენ, რომელი ელინთა სწავლა განათლების მეორებით განათლდა შოთა რუსთაველი და მით შთამოიღვრა საქართველოსში სწავლა განათლების წყარო ნათელიო“. რომლისა ძალით განათლდა არე და მას შიგან მეოფნი გონება ბნელი ერიო.

უცხო ტომთ გავლენის ქვეშ გაწვრთვნილი და გაზდილი შავთელი დიდის პატივისცემით მიიღეს ქართველთ სასწავლ-ემაწვილ-კაცებმა, რომელთაც სამეფო გამგეობაში და მოქმედებაშიაც დიდი მონაწილეობა ჰქონდათ მიღებული, შავთელი, როგორც ერის კაცი, საეკკლესიო და საბერ-მონაზონო სწავლის ძალითაც აღვსილი, გონება განცნოვლებული და განსპეტაკებული, დიდის გულ მსურვალეობით იყო სავსე, იმას დიდად ჰსურდა, რომ საქართველოსშიც აღნთე-

\*) გავრაც მეოთხე, დ. ბაქრაძის, გამოც. 1878 წ.



ბუღიუი იის კლასიკური სწავლა განათლების მანათობელი ლამაზი, რომელითაც უძველესის დროიდანვე დაწესებულა და ყვირილი რომისა და ათინამაჲ გადმოგვცემენ.

იმ დროში ყოველი განათლებული კაცი იმას სტდილობდა, რომ იმას გაეკეთებინა რამე და მით თავის სამშობლო ქვეყნის ერის წინაშე რამე სარგებლობა მოეტანა, მაშინდელი ქართული ემანვილკაცობა სწორეთ ისე იყო მომზადებული და განათლებულიო. როგორათაც რომის და ათინელთ ფილისოფიის გავლენის ქვეშ გაზდილი შვილებიო, რომელნიც თავიანთის ღრმა გამოძეტველების და შორს გამჭვრეტელობის წყალობით იქებოდნენ და იდიდებოდნენო. იოვანე შავთელი როგორც ერთი ამ ზემო ხსენებულ-მწერალთა გავლენის ქვეშ გაზდილი და სამეფო სამსახურის მედიდურებით სავსემ მწერლობასაც მოჰკიდა ხელი და დაიწყო წერაო. რამდენიმე ხნის შემდეგ ეს აღიგვეცა ბერათ და შევიდა გაენითის მონასტერში.

34395

ასევე წავიდა ჩვენი უკვდავი და მნათობ კარსკვლავი შოთა რუსთაველის საქმე, ამ ხელოვნების ლამაზსა და მეღეჭეუობის კერას უფრო ცუდი ჰსკედრი ჰხვდა. „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის გამო აუტყდნენ მასა და თავის სამშობლო საქართველოდამაც განდევნეს, ამის დასჯა მაშინდელს სამღვდლო პირთ ჭიშობასა, ძრწოლასა და ამბოხებას მიეწერება, რასაკვირველია სამეფო პირთ თანხმობით, რუსთაველი აღსრულდა იერუსალიმს ჯვარის მონასტერში, უსიამოვნებაში და სასოწარკვეთილმაში ჩავარდნილი, რომელიც იქვე იქმნა დასაფლავებული.

როგორც ზემოთ მოვისხენეთ, ივანე შავთელი შევიდა გაენათის მონასტერში ბერათ. ამ ივანეს დიდათ უმეცადინია გაენათის მონასტრის გამშვენებისათვის და იქ ქართული მწიგნობრობის „წიგნთ სცავის“ აღორძინებისათვის. შავთელის მეოხებით გაენათის მონასტერში ქართული სასულიერო მწერლობის საქმე დიდს წარმატებაში შესულა და თვით ამაჲ იოვანეს საშუალებით დაარსებულა ამ ხსენებულ მონასტერში მთელი გუნდი ქართული წიგნების გადაწერლებისა, რომელთაც სავმარისი ოსტატობა აღმოუჩენიათ თავიანთ წერის ხელოვნებით და რომელთაც იოვანე შავთელის მე-

სებით ერთობ დიდი შრომაც დაუდვიათ ქართული წიგნების გადაწერა და გამრავლებაში. იოვანე შავთელს მონასტერში ყოფნის დროს უფრო გულს მოდგინებით მიუყვან სული მწიგნობრობისათვის და ამას აქ უფრო უღვაწის საერო და სასულიერო წიგნების შედგენისთვის. თ. სულ. ბარათაშვილი სწერს, რომ იოვანე შავთელს ქონდა ერთი თხუზულება, რომელ თხუზულებასაც „აბდულ მესიანი“ რქმევიაო, მაგრამ ამ თხუზულებამ ჩვენამდის ვერ მოაღწიაო. ამას ეს დასკვნა იქიდან გამოჰყავს, რადგანაც რუსთაველი „აკეთების ტყაოსანში“ აბდულ მესიას ისეთ ადგილას მოიხსენებს, სადაც მოხსენებულის სახრის თმოგველის და მოსე ხონელის თხუზულებათა სახელები, მაგრამ ბარათაშვილისაგან ეს ისეთივე შეცდომა არის, როგორც მან შოთა რუსთაველი კასელათ აღიარა.

იოვანე შავთელს ერის კაცობაში აბდულ მესია რქმევია! ჩვენ არ აუწყით, თუ რაისა 'გამო უწოდეს მას სახელად აბდულ მესია! როგორც ვიცით, ეს სახელი ქართული არ არის, არამედ სხვა ტომთა, ან ქართველთა კერძო-თაყვანის ცემის დრონდელი. ბერობასში-გი იოვანე უწოდებიათ. ამის შესახებ ქვემოთ წაიკითხავთ ერთ ძველს წერილს, სადაც მოხსენებულის ყველა ამეების შესახებ.

გადავალ ასლად შავთელის პოემასზე და მის ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებსზე.

შავთელის პოემა ვითომც ოც-მარცვლოვანის ლექსის სტრიქონით არის ნაწერიო. ამის შესახებ ერთნაირად და ერთ-სმად ამტკიცებენ საქართველოს ძველნი და ახალი მეისტორიენი. ჩვენ ამ ძველთა და ახალთ თქმულებათ დაკერწმუნეთ და ჩასრუსადის პოემა სწორეთ ისე დავბეჭდეთ, როგორც, ვითომც უნდა ყოფილიყოს. მაგრამ ცოტა არ იყოს რაღაცა უხეიროდ გამოვიდა და ლექსის ძაფიც ცუდია, წასაკითხავათაც ცუდათ იკითხება, ამიტომ ჩვენ ვარჩიედ, რომ შავთელის პოემის ტექსტის თითო სტრიქონი ორათ ან სამათ გაგვეყო და ისე დავბეჭდვა; ორათაც გავუავით, სამათაც, ისევე სამათ ვამჯობინეთ, სწორეთ ამ ზომითვე უწერიათ მეთორთმეტე საუკუნის პოეტთ კერისელსა და მაგნაკორელსაცაო.

ამ ოც-მარცვლოვანი ლექსის ზომას ძველად „ჩასრუსაულს“

უწოდნენო. ასევე განმარტვენ ქართველთა უძველეს დროის სხვადა-  
სხვა მოთხრობის მწერალნი, ძელქსენი და სხვანი თავიანთ რა-  
მან მოთხრობებში მოყვანილს ლექსებთა და ქებათა სასულ-წოდე-  
ბათა გამო. ასევე განმარტვენ შავთელის ლექსის ზომის შესახება,  
რომ ამის ლექსიც სწორეთ ისე უნდა იყოს ნაწერიო, მაგრამ აქ-გი  
გზა აუქციედ ძველთა მწერალთა თქმულებასა და მოკახერებთ ისე,  
როგორც უფრო უძველესად დავინახედ, სტრიქონი სამად გაყვავით.  
ძველი მწერლობის ზოგი ერთ მოყვარე პირთ რომ ნახეს ეს, მამინ  
ამაზე იგინიც დაგვეწმუნენ და აღვიარეს, რომ შეიძლება, მართლაც  
სწორედ ასე ეწერათო. მხოლოდ შემდეგ, ქალღდის სიძვირის-გამო-  
გადამწერთაგან ასე გაბმულის სტრიქონით დაწყოდ წერა და ბო-  
ლოს ისეთ წარმატებასშიაც შესულ-იყოს, რომ ამას თავისი ზომის  
სასულწოდებაც მიელოკო, ასე ყოფიდიყოს, თუ ისე, ამაზე ჩვენ  
აჩას ვიტყვით, მხოლოდ ლექსი-გი მშეგნიერად და კონტად გამო-  
ვიდა და ვინც რამ უნდა სთქვას. უკვდავი შოთა რუსთაველი თავის  
„ვეფხისტყაოსნის“ ბოლოსში ესრედ მოხსენებს ამ იოვანე შავ-  
თელის პოემას: „აბდულ მესია შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა“.  
ამ შენიშენილამ ცხადათ მტკიცდება, რომ შავთელს „ვეფხისტყაო-  
სნზე“ წინეთ უნდა დაეწეროს. ჩახრუხადის ლექსზე შავთელის უპირ-  
ველესობა იქილამა სჩანს, რომ ჩახრუხადის ლექსის ბოლოსში მო-  
ხსენებულია რამდენიმე სასულ-წოდებანი, რომელ სასულნიც „ვეფხისტყაო-  
სნის“ გმირთა სასულებს ეთანხმებიან, მაგალითად:— „ასე თი-  
ნათინ, ნუ ის თინათინ, აჩაბეთს იყო სულადინი“.  
აქედამ აშკარათა სჩანს, რომ ჩახრუხადის ლექსი „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ უნდა  
იყოს ნაწერი, შავთელისა-გი რომ ჩახრუხადეზე წინეთ უნდა იყოს, ეს  
რუსთაველის მოხსენებიდაც სჩანს, რომელიც ზემოთ მოვისხენედ.  
აქ ამაზე ეჭვი არა გვაქვს ჩვენა. ამ საგნის შესახებ ჩახრუხადის  
აღწერაში ჩვენ უკვე გამოვსთქვით, მხოლოდ იქ ცოტა ბრუნდით.  
მოგვივიდა, რომელშიაც შავთელის ლექსის დრო 1182 წ. აღნიშ-  
ნულია. აქ-გი ასე შეიძლება ვსთქვათ, შავთელის უნდა 1188 წ.  
იყოს დაწერილი, რუისთაველის 1191 წლებ. და ჩახრუხადესი-გი 1197  
წ. ამაზე მანც გარდაწვევით აჩას ვიტყვით. რადგანაც ეს საგანი ერთის

მხრით მხელი მისასვედრია. აქ მხოლოდ ის გვაკვირვებს, რომ შოთა რუსთაველი შავთელს აბდულ მესიად ისენიებს, აქედამ ან ის უნდა სჩანდეს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ისეთ დროს უნდა იყოს ნაწერი, როცა ვერ შავთელი ბერათ ან იყო შემდგარი, ან არა და რუსთაველმა თავის ლექსში ან განგებ მოისხენა ასე, ან არა და ლექსის მარცვლის გამო ასე დასწერა.

შავთელის პოემასში ბევრი ისეთი სტრიქონებია, სადაც მოხსენებულია ზოგი ერთა გმიროთა ამბავნი, ქართველთა სასულები და წიგნებთა სათაურები. ყველა ამ წიგნებთა და გმიროთა სასულები და ცნობები ჩვენ აქ უნდა მოგვეყვანა, მაგრამ უადგილობის გამო ეს იქით გადავსდეთ.

იოვანე შავთელს ანტონ კათოლიკოსი ესრედ მოისხენებს თავის „წყობილ სიტყვაობასში“ \*) ესე პიიტვიოსი კაცი, ძალაღვაძმომთქმელ, მოძღვრებთა ბრწყინვალე, სიბრძნის მოყვარე, მართალ მესილოგიზმე, ღვთის მეტყველი, შექმნილ ყოველსა შინა, იოვანე ბრძენ შავთელსედ წოდებული, შოთამ სთქვა მისთვის, უქმნო ლექსი შავთელს და თამარ დადის ისტორიათა შინა, შაირთ გამოძმომთქმელ და წმიდად მოითხრობის, განწმინდა ამან, საბჭე უბიწოებით და მიწსცა ღმერთს, რომლისა წინაშე ჰსდგას“. იოსელიანისაგან დაბეჭდილს გამოცემაზე მიბეჭდილია ერთი ძველი ცნობა, რომელიც მოძიავს აქ შეუცვლელად აი:

მუწლსა დედანსში ზედ წარწერა წიგნისა ამისა ესრედ ეწერა:“ თამარ მეფისა, გიორგი მეფის ასულისა, დავითიან ბაგრატიონისა და მეუღლისა მისისა ბაგრატიონისავე დავით მეფისა სრულიად მზერობელისა სამთა სამეფოთა: ქართლისა, ვახუთისა, იმერეთისა და ხუთთა სამთავროთა, საათაბაგოს, ოდიშისა გურჯისტისა, აფხაზეთისა, სვანეთისა და სსჯათა და სსჯათა და სსჯათა მზერობელისა შესსმა, აბდულ მესია შავთელისაგან (ესე იგი მონა ქრისტესი) თქმული, რომელი იყო ადგილიდან საათაბაგოსათა, ამან მოართვა გელათიდამ, მეფესა თამარსა, რომელი იყო მდივანი მეფე თამარისა და შემდგომ იქმნა მონოზონ და უწოდეს სასულად იოვანე, რომელმან მოიგო ცხოვრება თვისი გელათის მონასტრისა შინა ეკკლესიასა“.

ეს ცნობა დაუკარგველობისთვის მოვიყვანედ აქა. მხოლოდ ჩვენ არ ვიცით, თუ ეს ვის მიერ უნდა იყოს მიწერილი? თვითონ შავთელისა, თუ სხვისაგან იქმნა მიწერილი, უჭვი არა გვაქვს იმის შესასება, რომ ეს ცნობები ძველის ცნობებიდამ არ იყოს ამოგლეჯილნი, რომელთაც ჩვენამდის ვერ მოახწიეს, ამომწერს ეს ცნობები თავისებურად უნდა გადაკეთებინოს. ამას თვით ამ შენიშვნის ფორმაც ამტკიცებს, რომ სხვათა, სხვათა და სხვათა. ეს ჩვენს ძველს მწერლობაში სრულიად არ იყო შემოდებული, ეს შეთვრამეტა საუგუნეში შემოვიდა, როცა საქართველო რუსეთს დაუახლოვდა შესაერთებულად, აქედამ ცხადათ სჩანს, რომ როგორც შავთელის წიგნზე მიწერილი ცნობები, აგრეთვე ჩასრუხაძეზეც ახალს დროსში უნდა იყოს ზედ მიწერილი. მხოლოდ ძველი ცნობებიდამ-კი გადაკეთებული.

შავთელის ზოგმა განიუოფება სულ ორას თექვსმეტ ტაუზათა, ტაუბი შეიცავს ექვს სტრიქონს. ამ ლექსის ზომას ძველათ „ძაგნა-გორულს“ უწოდენენ. მაგრამ „ძაგნაგორული“ სამ-სტრიქონიანია და არა ექვსიანი, რომლის ორი სტრიქონი ერთ მარცვლოვანი უნდა იყოს და ერთის რითმისა, მესამე სტრიქონი-კი მარცვლებით ორს ზემო სსენებულს სტრიქონებს უნდა უდრიდეს და ურითმო უნდა იყოს, ასე, რომ მესამეს რითმა ზემოთ ორს სტრიქონის რითმას არ უნდა წაგავდეს.

ამასვე ეკუთვნის ქართული წელთა აღრიცხვის საზასეჟო ცხრილის აღწერა, როგორც აღმოსჩნდა, აღწერა ესე აღუბეჭდიათ და ჩაურთავთ ქართული „დაბადების“ ბოლოსში, რომელიც 1745 წ. გამოცემს რუსეთის ქ. მოსკოვს, გამოცემა ეკუთვნის ვასტანგ მეექვსის შვილებს: ვახუშტისადა ბაქარს, მხოლოდ მმართველობითა და დაზგისა და ჰლაკის მტრელობით იოსებ სამეპელისათა. გამოცემა ესე აღუბეჭდილია ალექსანდრიის ქალაქდზე და აწც ძვირად საშოვარი.

ამ საუგუნის ნასეგარს, აღწერა ესე ქართულის ენიდამ გადასთარგმნა ფრანცუზულად, საქართველოს ისტორიის მწერალმა მარჩი ბრასემ, რომელმაც შეაგროვა ქართული ეველა წელთა აღრიცხვანი, გადასთარგმნა ფრანცუზულათ და 1852 წ. პეტერბურგის აკადემიის ხელმძღვანელობით გამოსცა ფრანცუზულს ენაზე. იქვე ყაურთა ქართული ეველა ხელთ-ნაწერებიცა, წიგნი იგი შესანიშნავია

თავის მნიშვნელობით, განსაკუთრებით არიფექტიკულის და მათემატიკურებს ტერმინებითა \*).

აი თვით ზედ მიწერილ მომეავს აქვე.

„ეს ასრული კვინგლოსისა საძიებელი და მასწავლებელი, იამბიკოდ თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა იოვანე შავთელისაგან, ჰირველად ამისთვის დაწერე, რომელ ზემოთაც საუწუებელს შინა მეკნა. ამასს კვინგლოსსათანა ქორონიკოსცა დაუწერენ დიდსა, წინა მდებართა წელთასა, უკეთუ ეგო, თავად ვინმე დასწერდეს ვინაიდგან ერთი მეორისა მოწამე არს, ზემორე ქორონიკოსს მივანდე და თანა აღარ დაუწერნი: და ესე რიცხვნი შავთელისა იამბიკოთა ქვემოთ მოსაკიდებელ არს: და ჰირველსა მის ტოლსა წაიკითხვიდე და მეორესა ამას მწერალმან მუნ სხუამ რამე მოძივიდა და ესე აღარ დაიწერებოდან“.

არ უწყით, თუ ვის მიერ უნდა იეოს შენიშვნა ესე მიწერილი. იქმნება თვით იოვანე შავთელის სელით, მაგრამ იქმნების სხვისაგანაც, აქ სხვა სხანს.

ბროსესაგან გამოცემულს წიგნის 33 კაპადონზე მოყვანხლია შემდეგი:— „და მის ჯერისათვის სანთელი სულიერისა ფილოსოფოსისა წმინდაგჳე შავთელი, შემწეობითა იამბიკოთა კეთილად და დვთივ შეენივრად წარმოიხებს“. თუმცა დაწვრილებით არვიცით, რომ ეს კვინგლოსი ჩვენგან აღნიშნულს შავთელს ეკუთვნის, მაგრამ სინამდვილეზე, რომ ეს სწორედ იოვანე შავთელი თამარ მეფის დროის შავთელი უნდა იეოს, ამაზე ეტვი არა გვაქვს, რადგანაც ცხრილი იმ დროს შეესება და იმ ქართველთა წელთ აღრიცხვის მოქცევასა. მხოლოდ ჩვენ არ ვიცით, თუ როდის აქსწერა ეს კვინგლოსი და ან სადა. ბროსე და ბაქრაძე ასე სწერენ.

ივანე შავთელის შესახებ ჯანაშვილს მოჰყავს შემდეგი: „ითამარის მამა გიორგიმ გამოაგრეკინა ეკკლესია და მონაზონთა სენაკები, ამბობენ, რომ ამის გამოკვეთაზე ხელმწიფის მოღალატენი და სხვა ტუსადები მუშაობდნენო. ამავე დროს უფლის ცისესში ვიდაც შავთელი კლდესა ჰკვეთდა, საეკკლესიო. საქმეს რომ მოჩინო-

\*) დ. ბაქრაძის ნაწერები.



შილა, ამის კედელზე გამოუჭრია შემდეგი წარწერა: „მე შავთელმა ერთი წერაქვი შვიდ დღეს ვისძარე ამის კეთებასში და ერთხელ არ გამოიღესიაო“. შემდეგ სსრლიოს უმატებს: „საინტერესოა ვიცოდეთ, ვინ შავთელია ეს კაცი! იქნება ეს შავთელი ბერად შემდგარი მოკეტი არის? ქორონიგონად ამ ნაწერს აქვს 110 წ.“ \*).

აქ გარდაწვევით და დამტკიცებით არას ვიტყვით, რომ ეს შავთელი ჩვენგან მოხსენებული შავთელი იყოს. ეს მით უფრო, რადგანაც ჩვენგან მოხსენებული შავთელი ჯავახეთისკენ უნდა ყოფილიყოს გაგზავნილი, იქნება ვარძიასში და ეს ჯანაშილს შავთელი-კი უფლის ციხესში ყოფილა შემწვედელი. ამის გასარკვევათა და დასამტკიცებლად ჩვენ ცნობები არა გვაქვს, რომ გარდაწვევით ხელი დავსდეთ, მაგრამ იმის შესახებ-კი ეჭვი არ უნდა გვქონდეს, რომ ჯანაშილისაგან მოხსენებული შავთელი ჩვენგან მოხსენებული არ იყოს, ამის დასამტკიცებლად ჩვენ მხოლოდ ერთ ნაირი ჭაზრი და შემთხვევა გვაბედინებს, რომ ვიფიქროთ, ეს შავთელი სწორეთის უნდა იყოს.

ქართლის ცხოვრებაში ამიოვანე შავთელს დიდი ადგილი უკავია და ეს თამარ მეფის წინაშე დიდათ დამსახურებულ და წმიდა კაცათ არის მიღებული.

დავით საათბაგოელი ცხოვრებადა მეთორმეტე საუკუნეში, ამის ცხოვრების წელი 1150 წლებამდის მისწვდება. დავითი აღზრდილა სამცხე საათბაგოში. აღზრდის შემდეგ იგი მიუყვით ხახულის მონასტერში. სახულის მონასტერში ეს განვითარებულა და შემდგომ მის იეროსალიმს და ათონს წასულა, აქედამ რამდენიმე წლის შემდეგ დაბრუნებულა და საქართველოში მოსულა. საქართველოში ყოფნის დროს მას დიდი გმირობა გამოუჩინია სხვა და სხვა რამებში და ამიტომ იგი საქართველოს მეფე დავით აღმაშენებელს თავისთან მიუსმია და თავის კარზე ჰყოლია სამეფო გამკეთ. დავითი აქ დარჩენილა კარგა ხანსა, რამდენიმეჯერ სპარსეთშიაც გაუგზავნიათ ეს სამეფოს სხვა და სხვა საქმეების გამო.

\*) ივერია, 1882 წლისა.

როგორც მოგვიტყობენ, ამ დავით საათბაგოელს სპარსულის ენიდამ ქართულათ უთარგმნია, წიგნი „ვისრამიანი“ ამ რომანს შოთა რუსთაველიც მოიხსენებს „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე ადგილას და ეს ამით ცხადათ ამტკიცებს, რომ „ვისრამიანი“ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანზე“ წინეთ უნდა იყოს დაწერილი. რუსთაველის მოხსენებას ისეთი კილო აქვსთ მიტეული, რის მეოხებით კაცი უეჭვოთ რწმუნდება მასზე, რომ „ვისრამიანი“ ბევრათ ადრე უნდა იყოს დაწერილი „ვეფხისტყაოსანზე“. შოთა რუსთაველი „ვისრამიანს“ ისეთ ადგილებში მოიხსენებს და „ვისრამიანის“ სტრიქონებს ისეთ ნაირათ უკავშირებს თავის „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონებს, რომ აქ მკითხველი უეჭვოდ რწმუნდება მასზე, რომ შოთა რუსთაველს „ვისრამიანის“ კითხვა მეტის მეტათ უნდა ჰქვარებიოყოსო.

მეთვრამეტე საუკუნის ბოლომდის ვუკვან იმას მოიხსენებდნენ, რომ „ვისრამიანი“ დავით საათბაგოელმა გადმოსთარგმანა. ამას ცხადათ ამტკიცებენ მეთვრამეტე საუკ. შიო მღვიმის არხიმანდრიტის გამაღიელ გამრეკელისაგან შედგენილი ქართული ძველი წიგნების ნუსხა.

ამასვე ამტკიცებს „სავანე გმირთას“ პატრონი ტრიფილე არხიმანდრიტი, ისაკ მოწიგნობარი და სხვანი.

როგორც შემოთავსებ მოვიხსენებთ „ვისრამიანი“ ქართულს ენაზე გადმოუთარგმნია დავით საათბაგოელს, კაცს მოწიგნობარს და სხვა და სხვა ენების მცოდნეს. ამ დავითს ვისრამიანის ზოგი ერთი ადგილები თავისებურათ გაუქართულებია; რადგანაც მასში ბევრს საქართველოს მხრის და ერის წოდებებს კვითხულობთ. „ვისრამიანი“ ფაღურის ენიდამ პარსულს ენაზე გადუთარგმნიათ და სპარსულის ენიდამ ქართულათ გადმოუთარგმნია დავით საათბაგოელს. ეს მოთხრობა ნემენცურათაც არის გათარგმნილი და დაბეჭდილი, რომლის ერთი ეგზემპ. თფილისის საზოგადო წიგნთ საცემიან ინახება.

„ვისრამიანი“ ცალკე წიგნათ გამოვიდა 1884 წ.

მიხეილ კათალიკოზი საქართველოს სამოქალაქო და საეკლესიო ისტორიულს წერილებში ცნობილი პირია, იგი აღიზარდა სა-

ქართველში. იმოგზაურა იერუსალიმში, ნახა ქრისტეს საფლავი, ქართველთა კვარის მონასტერი და იქიდან ათონის ივერიის მონასტერში მივიდა; საიდანაც დაბრუნდა საქართველოში. საქართველოში ყოფნის დროს ამას დიდი კავშირი ჰქონია ბერძნებთანა და სომხის ეკკლესიის ცხარე მოწინააღმდეგე ყოფილა. ამ კათალიკოზის ცხოვრებათა წელნი ქართულის ისტორიულის ცნობების ჩვენებით 1114—1171 წლებამდის მიაღწევს. მისიელ კათალიკოზს სტოდნია სომხური ბერძნული და ლათინური ენები. იგი გარდაცვალებულა მცხეთას, სადაც დაუსაფლავებიათ კიდეც. ამ მისიელ კათალიკოზს დაუწერია შემდეგი წიგნები: 1, „მამათა კრება“, ამაში აღწერილი ყოფილა წმიდათა მამათა ამბავნი, თუ სად რომელ კრებაზე რომელი მამანი დაესწრნენ. ამ წიგნის ხელთნაწერმა მეთვრამეტე საუკუნემდეც მოაღწია და ამას მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნისაკე დასაწყისის ქართულს კატალოგებში ვხვდავთ. 2, მოთხრობა წმიდათა, რომელსაც ეწოდება „გვირგვინი“ ეს წიგნი XIII საუკუნის ნასეკარს დაიკარგა. კარგა ხნის შემდეგ სხვამ სთარგმნა ეს წიგნი. მეორედ ნათარგმნ ხელთნაწერმა ჩვენამდისაც მოაღწია. 3, სოფრონ პალესტინელის ცხოვრება, ბერძნულიდან ნათარგმნი 4, მეფის დიმიტრის ცხოვრება, თუ ეს როგორ შეიმოსა ბერათ და როგორ განდგა სოფლის საქმეებიდგანა. გონი რომ ამ აღწერილად უნდა შეეტანათ ზოგი ერთი ცნობები „ქართლის ცხოვრებაში“.

მამა იეზეკელი სცხოვრებდა 1105—1149 წლებში. ამის სახელი და ვინაობა ქართულს ისტორიულს წყაროებში არა სჩანს, იმას-კი მოგვითხრობენ, რომ ათონის მონასტერში აღიზარდა. მცირე ხნის შემდეგ იერუსალიმშიაც ყოფილა, შემდეგ საქართველოში დაბრუნებულა. ამ იეზეკელ ქართველს ანტონ კათალიკოზივც მოიხსენებს „წყობილ სიტყვაობაში“ და იამბოკს მიუძღვნის. მამა იეზეკელს დაუწერია შემდეგი წიგნები: 1, ლექსნი, წმიდათა მამათა შესახებ, აკროსტისხურათ. 2, „დაუჯდომელი“ ეს ათონის მონასტრის „წიგნთ-საცვშია“ დაცული 3, გაგება, თუ მოკება სულისა, ბერძნულიდამ ნათარგმნი. მამა იეზეკელს საბა სინგელის ხლო მეგობარ ზივრათ ჰსადაინ. სხვა ცნობები ჩვენ არა ვიცით რა.

ივანე კათალიკოზი დიდ გავლენიან პირათ სჩანს „ქართლის ცხოვრებაში“ და სხვა ისტორიულს წიგნებში. ეს კათალიკოზი თანამედროვე პირია თამარ დედოფლისა. იოვანე კათალიკოზს სცოდნია ბერძნული, ლათინური და სომხური ენები. დიდი მომხრე ყოფილა ბერძენთ ეკკლესიისა და მოწინააღმდეგე სომხეთსა და ამ გვარს კითხვებში ყოველთვის მაშეფოთარი და საშინელი დამცველი ბერძენთა და დამამცირებელი სომხეთსა. ამ მღვდელ მთავრის მოქმედებამ დიდი შოთები ჩამოაგდო სომხებსა და ქართველებში, რომელ შოთთებსაც ერთობ ცუდი შედეგი მოჰყვა, როგორც სომხეთთავის ისევე ქართველთათვისაცა. ამ მღვდელ მთავარმა წიგვის დროს არ მისცა სეფისკვერი ზაქარია მხარგმელს, რაისა გამო მოკლედ არის აღწერილი „ქართლის ცხოვრებაში“. ესევე კათალიკოზი საშინელი მოწინააღმდეგე ყოფილა შოთა რუსთიველის, რადგანაც შოთა რუსთაველმა დასწერა „ვეფხისტყაოსანი“. იოვანეს დიდი შრომა დაუდვია ცხეთის ეკკლესიის გამშვენებაზე და მასვე დაუწერია შემდეგი წიგნები: 1, დოღმატიკა, ივანე დამსკელისა, თარგმანი ბერძნულიდამ. 2, ივანე ღვთის მეტყველის თარგმანი, ბერძნულიდამ ნათარგმნი, ამ წიგნმა ჩვენამდისაც მოაღწია. 3, „წინამძღვარი“ მისივე იოანე ოქროპირისა. ამ თარგმანმა ჩვენამდის ვერ მოაღწია, 4, სჯის მეტყველება, ვასილი დიდისა, თარგმნილი. სხვა ნაწერები იოანე კათალიკოზისა არა სჩანს რა.

ნიკოლოზ კათალიკოზი სცხოვრებდა 1121—1168 წლებში ამ ნიკოლოზს კათალიკოზს ანტონ კათალიკოზს სიბრძნის ტრფილს უწოდებს. ნიკოლოზ კათალიკოზი მცირე ხანს თამარ მეფესაც მოსწრებია, მაგრამ დრმა მოხუცებაში-კი ყოფილა იმ დროს. ნიკოლოზი მცხეთაში აღსრულებულა. მას ქართულ მწერლობასიაც ჭქონია მონაწილეობა მიღებული და ჩვენამდის შემდეგ მის წიგნებმა მოაღწიეს: 1, გრიგორის ღვთის მეტყველება, თარგმნილი ბერძნულიდამ. 2, მაქსიმე აღმსარებელის წიგნი, სარწმუნოების აღსარების და მართლ აღსარების დამტკიცებისათვის 3, „ეთეოლოგია“ მაქსიმე აღმსარებელისა 4, წიგნი „ხუთასეული“ სავსეჭო უნდა იყოს ეს „ხუთასეული“. 5, ვასილის დიდის ძმისაგან განმარტე-

ბითი, მოთხრობა კაცის შექმნაზე. 6, ქება ქებათა განმარტებით, გრიგორ ნოსელისა. თარგმნილი და 7, „კსენინაქსარი“ ეს დაბეჭდილია ბ. საბინინის „საქართველას სამოთხეში“.

თეოდორე ქართველი სტოგოგებდა 1101—1181 წლებში. ეს აღიზარდა იერუსალიმის ჯვარის მონასტერში. ეს თეოდორე დიდხანს დაწინიდა საბერძნეთში. ამას მეტის მეტი კარგათ სტოდნის ბერძნული და სხვა ენები, საბერძნეთის მიტროპოლიტს ამისთვის ეპისკოპოზობა მიუცნათ და ქალაქ ნიკოდიმიის კათედრასედ აღუყვანათ ეპისკოპოზათ. თეოდორეს ქართულ მწერლობისთვისაც უმუშავნია და ამას დაუტოვებია შემდეგი წიგნები: 1, სახარება მარკოზისა და ლუკასი, ახლად ნათარგმნი. 2, სამოციქულო 3, სტოდნის მონისტრის მარხვა. 4, წიგნი „ფუტკარი“ და 5, „მარგალიტიდამ“ გამოკრებილი ადგილი. ეს წიგნი ჯერ-ჯერობით არა სჩანს.

ივანე ტარკისძე 1089—1145 წლებში სტოგოგებდა. ეს იყო თემით სამცხე საათაბაგოელი. იოვანე აღიზარდა ათონის ივერიის მონასტრის სასწავლებელში. რამდენიმე ხნის შემდეგ იოვანე დაბრუნებულა საქართველოში და მეფე დავით აღმაშენებლის ბრძანებით სასწავლებელიც დაუარსებია სამცხე საათაბაგოს მხარეში. იოვანე ტარკის-ძემ დასტოვა შემდეგი წიგნები: 1, დიალეტიკა, თარგმნილი. 2, პორფირის შეყვანილობა, თარგმნილი. 3, კატელორია დამსკელისა. 4, თორმეტთა ქვათათვის, ეპიტაფიე კაპრიელისა, თარგმნილი ელინურიდამ. 5, ლექსნი, პატივთ ქართველთა წმიდათა. ამ იოვანე ტარკის-ძეს ანტონ კათოლიკოზიც მოიხსენებს „წუბილ სიტყვაებაში“.

იოვანეს გარდაცვალება 1145 წელს მიეწერება, საქართველოში. სხვა ცნობები ამის მწერლობის შესახებ ჩვენ არაფერი გვაქვს, არსელიანი ამის გარდაცვალებას შეცდომით 1130 წ. აწერს.

საბა სინგელი ქართულს საეკლესიო წიგნებში ცნობილი პირია, ამის სასული „ქართლის ცხოვრებაშია“ არის მოხსენებული საბა სინგელი თემით ჯვარსეთიდამ ყოფილა, აღზრდილა საქართველოში, აღზრდის შემდეგ ათონის მთაზე წასულა და ივერიის მო-

ნასტურში დაჩუნიდა კარგა ხანსა, იქ განვითარებულა სამხთო მწერ-  
ლობაში და შემდეგ ის დაბრუნებულა საქართველოში. ამის ცხოვ-  
რების დრონი 1102 წლიდან 1158 წლამდის შეეხება. საბა სინ-  
გელს ქართულს მწერლობაშიაც ქართლს მონაწილეობა მიღებული,  
ამას დაუწერია შემდეგი წიგნები: 1, კანონი, მართლ მადიდებელ-  
ეკლესიის ზოგიერთი წესების. 2, ირმოლორი, კლინურიდამ  
თარგმანი და 3, ცხოვრება დავით აღმაშენებლისა. საბა სინ-  
გელი, ანუ სინგელი გარდაცვალებულა დასავლეთ საქართველოში, თა-  
ვის სამშობლოში, 1158 წლებში.

დიმიტრი მეფე დავით აღმაშენებლის შვილია, დავით აღმა-  
შენებლის შემდეგ ამ დიმიტრემ მიიღო საქართველოს სამეფო ტახ-  
ტი. დიმიტრის ცხოვრების წელნი 1124—1161 წლამდის მიაღ-  
წევნ. რამდენიმე ხნის შემდეგ თავის მეფობისა. დიმიტრი ბერათ  
შედგა და საქართველოს სამეფო ტახტი თავის შვილს გიორგის  
დაუტოვა, თამარ მეფის მამას. დიმიტრის ბერობაში დამიანე უწო-  
დეს, ეს სცხოვრებდა დავით გარეჯის მონასტერში. ამას დიდი  
შრომა დაუღვია დავით გარეჯის მონასტერზე, ამიტომ მის გარდა-  
ცვალების შემდეგ დიმიტრის სახე თავით გარეჯის მონასტრის  
კედელზე დაუხატავთ, რომელი სურათი დღესაც იხილვება. ანტონ  
კათოლიკოსი ამ დიმიტრის მეფეს დიმიტრი მეფისკეთ მოიხსენებს.  
როსელისანი ჭკვირობს ამასე.

დიმიტრი მეფის ცხოვრება „ქართლის ცხოვრებაში“ დაწერი-  
ლებით არის აღწერილი. დიმიტრის დაუწერია მრავალი იამბიკოები,  
შესახებ ქართველთა და ბერძენთა წმიდათა, რომლის იამბიკოებმა  
ჩვენამდისაც მოაწიეს და რამდენიმე იამბიკოსი მეტ განსე ქვათა  
ხუვის მონასტრის წიგნთ საცავში. ეს იამბიკოსნი შეცდომით მე ჩემს  
მეტამეტე საუკუნის ქართულ მწერლობის ბროშურაში შევიტანე და  
მოვიხსენე.

ბიორგრი ჭყონდიდელი სამეგრელოს მთავარ ეპისკოპოსათ  
ყო დადგენილი და შემდეგ მიტროპოლიტობაც მიიღო, ამ გიორ-  
გის დიდის ჰატივითა და დიდებით მოიხსენებენ საქართველოს სარ-  
ეკლესიო და სამოქალაქო ისტორიულს წერილებში. ამას ასახე-

ლებენ „ქართლის ცხოვრებაში“ რომ „კაცი მწიგნობარი და უხუცესი“. გიორგი ჭყონდიდელს დიდათ უშრომნია მეგრელების, სვანების და აფხაზების გაწურთვნაზე. ამ პირს დაუდგენია სამეგრელოში განათლების საფუძველი და ამასვე დაუფუძნებია ვრცელი სასწავლებელი, სადაც სწავლობდნენ და განვითარდებოდნენ მეგრელები. ამ სასწავლებლის მეორეებით აღორძინდა მთელს სამეგრელოში არამც თუ წიგნის კითხვის ცოდნა, არამედ ქართული მწერლობაც და ამის შემდეგ სამეგრელოში მრავალი გამოჩენილი მწიგნობარი და მცოდნე პირებიც გამოსულან ხალხე.

გიორგი ჭყონდიდელის ცხოვრება 1135—1191 წლებს შეეხება. ამ მიტროპოლიტს ქართული წიგნებიც უწერია, ამისაგან დაწერილმა წიგნებმა ჩვენამდისაც მოაღწიეს. სხვათა შორის მას ეკუთვნის შემდეგი წიგნები: 1, „ალაპი“, ეს წიგნი ძველათ შიო მღვიმის მონასტერში ყოფილა დაცული. დღეს აღარსად სძანს. და 2, სიმონ კანანელის და ანდრია მოციქულის ცხოვრება და მოღვაწეობა. ამ წიგნის ხელთნაწერები საქართველოში მრავალია.

ზოგი ერთნი გვაუწყებენ, რომ გიორგი ჭყონდიდელმა იმ დროის შიო მღვიმის მონასტრის სასწავლებელში მიიღო სწავლა, სადაც დიდი ძალი ეძაწვილ გაცობა სწავლობდა.

ეფრემ მცირე სცხოვრებდა 1089—1136 წლებში. ეფრემ მცირე დიდი გვარის შვილთაგანი ყოფილა და თანა მეღვრეე პირი დავით აღმაშენებლისა. ეფრემს სწავლა საბერძნეთში მიუღია და როდესაც საქართველოში მოსულა, იგი მეფე დავით აღმაშენებლის სახლში დაბინავებულა. რადგანაც ამ ეფრემს მცირათ მოხსენებენ, სხანს ეფრემ უფროსიც ყოფილა სხვა ვინმე. ეფრემ მცირის ქართულათ დაუწერა შემდეგი წიგნები: 1, ზეცის იერარხისათვის. ეს წიგნი მოხსენებულა ერთ ძველ კატალოგში, მე მკვანდა, დღეს სხვას ეკუთვნის, 2, წიგნი „ამონოსიოსი“ ელინურიდან ნათარგმნი. 3, ქადაგებანი თომა მოციქულისა. ეს ქადაგება მოხსენებულა ივერიის მონასტრის ძველს კატალოგში. და 4, „მოქცევა საქართველოსი“ ამ წიგნს იოსელიანის სოკრატს და სოზომენს. აკუთვნებს, 5, ცხოვრება დავით აღმაშენებლისა და წმიდა ნიკ.

ნოსი. ამ აღწერამ ჩვენამდისაც მოაღწია. ასე რომ ყველა ესენი ეთერემ მტერს უნდა გადმოეთანაცმნოს ელინურიდამა. მოხუცებაში ეთერემ მტერი ათონის მთაზე წასულა და ივერიის მონასტერში გარდაცვლილა; მისი გარდაცვალების რიცხვი 1136 წლებში მიეწერება.

არსენ იყალთოელის შესახებ ძალიან ბევრი უწერიათ ქართულს საისტორიო მწერლობაში და ამიტომ მე აქ მხოლოდ გაკვრით შევეხები მის ამბებს და აქიდან მის მწერლობაზე გადავალ. არსენ იყალთოელი სცნოვრებდა 1088 — 1139 წლებში. არსენი იყო თემით კახელი, სოფელს იყალთოდამ, თავადის შვილი, გვარად ვახინაძე. აღიზარდა საქართველოში, შემდეგ მის საბერძნეთში წავიდა, ივერიის მონასტერში დარჩა კარგა ხანსა და ბოლოს საქართველოში დაბრუნდა. დავით აღმაშენებლის თანამედროვე შირიაეს არსენი, ზოგი ერთ წიგნებში არსენ იყალთოელს დავით აღმაშენებლის აღმზრდელათ ასახელებენ. დავითზე დიდი გავლენა ჭკონია არსენს, საქართველოს მეფეს ისე დაასლოვებია ეს, რომ დავით აღმაშენებელს თავის მოძღვრათ დაუნიშნავს იგი. სამეფო მოძღვრობის გარდა არსენ იყალთოელსეე ჭკონდა სასწავლებელი განსნილი, სოფელს იყალთოში. ეს სასწავლებელი დიდად განთქმული იყო იმ დროში, მთელის საქართველოს უძღლესი თავად აზნაურის შვილებს იქ მიჰყვანდათ სოღმე თავიანთი შვილები სასწავლებლათ, როგორც უწყიან. ამ სასწავლებელში არსენ იყალთოელს 700 შეგირდო ჭკვანდაო. ზოგნი უწყიან, რომ რესთაველიც ამ სასწავლებელში სწავლობდა შირველ ხანსაო.

არსენ იყალთოელისგან დაარსებულ სკოლის კედლებმა ჩვენამდისაც მოაღწიეს. ამას თემურაზ ნატონიშვილიც მოწმობს თავის ისტორიის შირველ წიგნში (1848 წ. გამოცემა) რომ არსენ იყალთოელის სკოლის კედლები დღესაც მოხანს სოფელს იყალთოში, რომელიც მე ჩემის თვალთ ვხანსეო. მოხუცებაში შესვლის დროს არსენ იყალთოელი ათონის ივერიის მონასტერში წასულა, დავით აღმაშენებლის ბრძანებით, ათონიდან დაბრუნებულა საქართველოში და ამის შემდეგ დავით აღმაშენებელს წესათ დაუგებნია, რომ ყოველ წლობით საქართველოდამ ორმოცი უმაწილი უნდა გაიგზავნოს.



სახეობებში სასწავლებლათა. არსენ იყალთოელს ქართულს მწერლობაშიაც ჭეონია მონაწილეობა მიღებული, ამის გამო ანტონ კათოლიკოზი მას ვრცელ იამბიკოს უძღვნის. არსენს დაუწერია შემდეგი წიგნები: 1, „ძველის წერა კრებისა“, რომელიც იქმნა საქართველოში. ეს აღწერა შეტანილია სხვა და სხვა აღწერებში. 2, სიტყვა, ქებით და პატრიოთ დავით აღმაშენებლისა 3, წიგნი „ოქროს ნექტარი“ დამსკელისა. ამაში განიხილტება ნესტორიანთ დარღვევა. 4, დავით აღმაშენებლის სიტყვის აღწერა. 5, წმ. იოანესი და შიოს ცხოვრება. ეს დაბეჭდილია „საქართველოს სამოთხეში“ და 7, მოთხრობა მასზედა. რომელთა გამო განდგენ სომეხნი მართლ-მადიდებელ საჩქმუნოებისაგან. მრავალიც სხვანი. ტიმოთე მიტროპოლიტი მოგვითხრობს, რომ არსენ იყალთოელის სურათი კვარის მონასტრის კედელზეა დასატულიო. ეს სურათი ტიმოთეს თვით უნახავს, თავის მოგზაურობის დროს.

არსენი გარდაიცვალა კახეთში, დასაფლავებს თავისაკე თან მოსახელის არსენ იყალთოელის სახელზე გაკეთებულს კეკელისაში. თეიმურაზი სწერს, რომ არსენ იყალთოელის გვერდით არის დამარსული არსენ იბადის ძე კახინაძეო.

ანტონ ჰყონდიდელი სცხოვრებდა თამარ მეფის დროს, ამის ცხოვრების წელნი 1135—1195 მიაღწევენ. ანტონ ჰყონდიდელმა გიორგი ჰყონდიდელის შემდეგ მიიღო ჰყონდიდლობა. ამ ანტონ მწიგნობარ კაცათ ჭხადიან. ამას შეუდგენია „წესდება და რიგი ღაშქართა“ თუ როგორ უნდა დაიცვან წესები და როგორ უნდა განვიდნენ და განემართონ სამძრათ მტრისა წინაშე, თამარ მეფის ბძანებით, ანტონ ჰყონდიდელი დაესწრო კრებასა, რომელიც იქმნა ქალაქ მცხეთას. უკანასკნელს ჟამს შიო მღვიმის მონასტერში მისულა და იქივ გარდაცვლილა კიდეც. (ნახე შიო მღვიმის აღწერა 33—39 გვერდი).

იოვანე-პეტრიწი ქართველ მეისტორიეთაგან სასულიერო ჭაზროვნების ფილოსოფოსათ არის სსენებული. იოვანეს შესახებ ბეკრს აქვს ნაწერები და ეკვლანი დიდის ქებით მოიხსენებენ ამას.

იოვანე ჰეტრიწის ცხოვრების წელნი მისწვევენ 1080—1128 წლამდის. ზოგი ერთი მეისტორიენი ჭკობეუენ, რომ იოვანე ჰეტრიწი შეეძქსე საუკუნეში სცხოვრებდაო. ამ შეცდომას იოსელიანმა გვერდს აუარა და მას თვითაც შენიშნა. იოვანე ჰეტრიწეს ასახელებენ, რომ გვარად ჭიმჭიმელი იყოვო, დასავლეთ საქართველოს მცხოვრებთაგანი. იოვანე აღზრდილა საქართველოში, საქართველოდამ ათონის ივერიის მონასტერში წავიდა. იქიდან იეროსალიმის ქართველების ჭკვარის მონასტერში გაემგზავრა, ჭკვარის მონასტრიდან ათონის მთაზე დაბრუნდა და იქ დარჩა კარგა ხანსა. ამ დროს ივანე ჰეტრიწემ შეისწავლა ლათინური, ბერძნული, სომხური და სირიული ენები. სომხური ენის მასწავლებელთა სომეხთა თელიოსოფოსი დავითი ჭყოლია, ამ დავითს ქართველ ძველი მწერლები დავით უძლეველათ ასახელებენ. ეს დავით ერმიანთა მეცნიერი დროებით სცხოვრებდა ივერიის მონასტერში და მას ჭსურდა, რომ ქართული ენა შეისწავლა. დავითს იქ შეუსწავლია ქართული ენა და იოვანე ჰეტრიწესაც მისგან შეუსწავლია სომხური ენა.

ათონის მთაზე რა გავწრთნილა იოვანე ჰეტრიწი, შემდეგ ამის იგი რომში განმგზავრებულა, სადაც შეუსწავლია მრავალი საეკლესიო სწავლანი. ზოგნი მოგვითსრობენ, რომ ჰეტრიწი მას რომში ყოფნის გამო უწოდეს ქართველთაო. რომიდან ათონის მთაზედ დაბრუნებული იოვანე საქართველოში დაბრუნებულა, რომელიც დიდის პატრიოთ წამდგარა დავით აღმაშენებლის წინაშე. დავითის თხოვნით იოვანე ჰეტრიწეს დასავლეთ საქართველოში სვოლა გაუხსნია, სადაც 700 მოსწავლე უკავილები ყოფილან. იოვანე ჰეტრიწეს ქართულს მწერლობაშიაც ჭქონია მონაწილეობა მიღებული.

ივანე ჰეტრიწეს შეუდგენია შემდეგი წიგნები: 1, საღრამატიკოვანონი, ქართულის ენისა. ეს მოსხენებულია მრავალს ძველს წიგნებში, 2, „ლექსთა-კონა“ ამაში შეკრებილი და ასხმული იყო ქართული სიტყვებიო. ამაზე ნ. გამრეკელიც სწერს. (საბა ორბელიანი და მისი ლექსიკონი, რუს. ენაზე. გამოცემა 1884 წ.) 3, კავშირი, ჰროკლესი, თარგმანი. იოვანე ჰეტრიწეს ქართულის თარგმანიდან სომხებს სომხურ ენაზე გადუთარგმნიათ. შემდეგ დროებში ქართული თარგმანი საქართველოში სრულიად დაიკარგა, ამის გამო მეთვრან-

მეტე საუკუნის ნახევარს. ეს წიგნი სომხურის ენიდან გადმოუთარგმნია  
საქართველოს სამეფო ნამსახურლეს იოვანე ორბელიანს, თფილისში  
მეოთხ კრძინთა მღვდლის ტერ თფილიზე უკითხაზაშკვლის დახმარე-  
ბით. პრეკლეს „აკაემირის“ თარგმანს ვრცელი წინასიტყვაობა  
აქვს, სადაც მთარგმნელი დაკარგვის ცნობებს და სხვა ამბებს ვრცლად  
მოგვითხრობს ეს წიგნი დღეს თფილისში ინახება. კარგა  
ვრცელი წიგნია 5, წიგნი ნემესიოსი, მოგვითხრობენ, რომ ამ  
წიგნში ვასკვლავთ მრინსველობაზეც არის ცნობებიო. ეს წიგნი  
მოხსენებულია ქართული ძველი წიგნების ერთ ძველ კატალოგში,  
რომელიც დაბეჭდილია 1870 წ. „დროებაში“. 6, წიგნი იოსებ  
ფლავიოსი, ელინურიდამ თარგმანი. ამ წიგნმა ჩვენამდისაც მოადწია.  
7, ტომპინი არისტოტელისა, თარგმნილი ელინურიდამ. 8, პერი-  
არმენია, არისტოტელისა ელინურიდამ ხათარგმნი. ეს წიგნი ძვე-  
ლათვე დაიკარგა. მეორეამეტე საუკუნეში სომხურის ენიდან გადმო-  
სთარგმნა დოსითეოს ნეკრესის ეპისკოპოსმა. 9, კლემქსი, იოვანე  
სინაიტელისა. ლექსად გადმოღებული. ამ წიგნს ზოგნი „კიბე ცად  
მეუანს“ უწოდებენ. ეს ის ასკეტიკური თხზულება არის, რომელ-  
საც ამერიკის გამორჩენილი ისტორიკოსი დრეპერიც მოხსენებს \*),  
რომ ასეთ წიგნებმა მთელი ევროპის სჯლსი ცონსებით კავთუტეს,  
გარეენეს, გაზარმაცეს და მათ მხოლოდ საიქიო ხაუბეჭდეს თავში  
და მხოლოთ სმაებით მოუშსამეს სული და გულიო. ცნადი საქმეა,  
რომ ქართველებზედაც ასეთივე სიკეთე დაითესებოდა ეველა აქ მო-  
ხსენებულ ამ კვარ წიგნებიდამ. ამ წიგნმა ჩვენამდისაც მოადწია  
და დღეს მრავალს მოხანსტრებში შევხვდებით. ამ „აკლემქსის“ ერთი  
ადგილი 1863 წ. გამოცემულს ქართულს ქრესტომატიანაზე არის  
დაბეჭდილი. 9, არს განმარტება მარკოს მანარებლისა, ქმნილი  
ოქროპინისაგან, ელინურიდამ ხათარგმნი. 10, პრეკლიგი ლექსად  
შედგენილი პატრიკად მსოფლიოთა წმიდათა, რომელსაც დღესასწაუ-  
ლობს ეველესია თვეთა სეკტემბერს, ოკტომბერს, ნოემბერს, დე-  
კემბერს და იანვარს. სხვა თვეებისამ ჩვენამდის ვერ მოადწიეს, ამი-  
ტომ დანარჩენი ფეკები არსენ კათალიკოზ ბულმანისის ძემ შეასრულა

\*) Исторія умственнаго развитія Европы 1866 года.

მეტამეტე საუკუნეში, მაკამ სრულად არც ამის შედგენილმა მოაღწია მეტამეტე საუკუნემდე. ამიტომ ეს დაწავლისი ანტონ კათალიკოსმა შეავსო. სხვა ნაწერები ჩვენ არა გვინახავს. იოვანე პეტრიწის გარდაცვალება 1138 წ. მიეწეება.

### XII. საუკ. დაწერილი წიგნები

II კილა და შინა“ პირველად XII საუკუნე უთარგმნიტე ამის თვით შედგე დროის თარგმნის წინასიტყვაობაზე გვაუწყებს „როსტომის ძე გეგობრულს“ ენებზე „შინამდე“ ცნობილას თარგმნა ცაძვე საუკუნეს მიეწეება პირველად.

მთერხანი, მოსხენეულია მეთორმეტე საუკუნის წიგნებში.

აბულ-ეასარი, დაწერილია XII საუკუნე. შინაჯისი რას შეიცავს ეს ჩვენ არ ვიცით. გიზანტიის ვრცელი ისტორიუ სდაც გაკერით ქართლის შეყუთ მთავრით რას დაწერილია მე მკვებდა.

ხოსროვიანი, მოთხრობა. მოღწია ჩვენ დრომდე.

მეფული მოსხენეულია მეთორმეტე საუკუნის მრავალს სხვა და სხვა წიგნებში. ჩვენ დრომდისაც მოაღწია. \*)

\*) შველა ამ გვარი წერილების წერა მე მეფეთუბან მხოლოდ 1880 წლამდის.

894:63.09

♣ 551